

ზუგძევის ქსელი - ველური ბანების შენაჩუნების ინსტანცია

სახელმწიფო



**ზურაბ ესელი -
ველური გუნების
შენარჩუნების ინსტამანები**

სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო მომზადებულია პროექტის „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ (CCCD) ფარგლებში. პროექტი ინიცირებულია გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ხორციელდება გაერო-ს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით.

გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორების პოზიციას და არ ასახავს გაერო-ს განვითარების პროგრამისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის შეხედულებებს.

ავტორები:

ზოგადი წარმომადგენლობის მინისტრი

კახა არცივაძე, სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესი“, „საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ GIPA

მცენარეთა პოპულაციების მონიტორინგი

ქართველი ბაცაცაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფრინველთა პოპულაციების მონიტორინგი

ზურა ჭავახიშვილი და ნიკა პაპოშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საჩივრი

თავი 1. ზოგადი ნაწილი	6
1.1 ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია (ბერნი, 1979)	7
1.2 ბურმუხტის ქსელი	8
1.3 ბურმუხტის ქსელის მართვა და მონიტორინგი	9
1.4 სახარბიელო კონსერვაციული სტატუსი	10
1.5 ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემა ანუ EUNIS ჰაბიტატების კლასიფიკაციის სისტემა	11
თავი 2. მცენარეთა კოკულაციების მონიტორინგი	21
2.1 მაკრო-ნაკვეთების შერჩევა პოპულაციის კვლევისას	23
2.2. მცენარეთა პოპულაციების შერჩეული პარამეტრები ემერალდის საიტებზე სამიზნე სახეობათა პოპულაციების რაოდენობრივი კვლევისათვის	24
2.2.1. შეხვედრის სიხშირის დადგენის მეთოდის აღწერა	24
2.2.2. ხაზის კვეთის მეთოდით დაფარულობის დადგენის მეთოდის აღწერა	28
2.2.3. სანიმუშე ერთეულების: ნაკვეთების ან ტრანსექტების ოპტიმალური რაოდენობის დადგენა პირველი კვლევის შედეგების მიხედვით	28
2.3. მონიტორინგის შედეგების ანალიზი	30
თავი 3. ვაინცერთა კოკულაციების მონიტორინგი	39
3.1 შესავალი - ბურმუხტის ქსელი და ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიები საქართველოში	40
3.2 ფრინველთა მონიტორინგი - მეთოდიკა	40
3.3 მონიტორინგის შედეგების ინტერპრეტაცია	64



თავი 1. ზოგადი ნაწილი

შესავალი

„ბურმუხტის ქსელი“ არის საერთაშორისო ეკოლოგიური ქსელი, რომელიც ევროპის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას ემსახურება. მისი ჩამოყალიბება ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის (ბერნი, 1979), ანუ „ბერნის კონვენციის“ აუცილებელი მოთხოვნაა და მისი დანერგვის ერთ-ერთი მთავარ მექანიზმს წარმოადგენს.

„ბურმუხტის ქსელის“ განვითარება ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში და წვლილი შეაქვს - ბიომრავალფეროვნების კონვენციის და მისი ეგიდით შემუშავებული გლობალური ე.წ. აიტის მიზნების შესრულებაში.

ქსელის განვითარება საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ნაწილსაც წარმოადგენს. ხელშეკრულების თანახმად, საქართველო ვალდებულია 2020 წლიდან უზრუნველყოს ბურმუხტის ქსელის სრულფასოვანი ფუნქციონირება.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ბიომრავალფეროვნების დაცვაში ჩართული სპეციალისტებისთვის და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ბურმუხტის ქსელის, როგორც ბიომრავალფეროვნების დაცვის ინსტრუმენტის შესახებ შესაბამისი სპეციალისტების თვალსაწიერის გაფართოებას. სახელმძღვანელო საშუალებას იძლევა, ვიცოდეთ მეტი იმ სახეობების შესახებ, რომელთა დაცვა საქართველოში ბურმუხტის საიტებად გამოცხადებულ ტერიტორიებზე გვევალება. სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია მეთოდოლოგიები, რომელთა შესაბამისად, ბურმუხტის საიტებზე მცენარეთა და ცხოველთა მონიტორინგი უნდა განხორციელდეს.

1.1 ევროპის ველური გუნებისა და გუნებრივი კაბიგაზების დაცვის კონვენცია (გერნი, 1979)

ბერნის კონვენცია ევროპის ველური ფლორისა და ფაუნის და მათი ჰაბიტატების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტია. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია კონვენციაზე მიერთებულ ქვეყნებში ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა. ამასთან, კონვენცია მოქმედებს, როგორც გაეროს „ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენციის“ დანერგვის ევროპული ინსტრუმენტი.

ბერნის კონვენციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, ხელი შეუწყოს, მონაწილე მხარეებს შორის ველური ფლორისა და ფაუნის დაცვისათვის საჭირო მეთოდოლოგიის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. კონვენცია ხელს უწყობს, ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ტერიტორიაზე „ნატურა 2000-ის“ ეკოლოგიური ქსელის ჩამოყალიბების პროცესში დაგროვილი დიდძალი გამოცდილების, ცოდნის, მეთოდოლოგიის და პრინციპების გაზიარებას, ბერნის კონვენციაზე მიერთებულ სხვა სახელმწიფოებს შორის.

კონვენციის საქმიანობაში ჩართული ექსპერტები ქმნიან ახალ სახელმძღვანელო დოკუმენტებს და ამუშავებენ რეკომენდაციებს, რომელთა გაზიარება ყველა მონაწილე მხარესთან ხდება. ყოველივე ეს ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და ბიოლოგიური რესურსების მდგრად მართვას ეკოლოგიური ქსელის ჩარტინორ ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც, რომელიც კონვენციის მონაწილე მხარე 2009 წელს გახდა.

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია ეყრდნობა პრინციპს, რომ სახეობების გრძელვადიანი გადარჩენა შეუძლებელია იმ ჰაბიტატების¹ დაცვის გარეშე, სადაც ისინი ბინადრობენ. შესაბამისად, ბერნის კონვენცია მთავარ აქცენტს სწორედ ბუნებრივი ჰაბიტატების შენარჩუნებაზე აკეთებს.

ბერნის კონვენციის ფარგლებში დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების ნუსხა მითითებულია კონვენციის შესაბამის დანართებში: დანართი I მოიცავს დაცული ჰაბიტატების სიას, ხოლო დანართი II - სახეობებს, რომელთა დასაცავად აუცილებელია მაღალი კონსერვაციული დი-რებულების მქონე ტერიტორიების შერჩევა და ე.წ „ზურმუხტის ქსელში“ ჩართვა. კონვენციის ამოქმედებიდან დღემდე, ამ დანართებში მრავალი ცვლილება და დამატება შევიდა. დაცული ჰაბიტატებისა და სახეობების ამჟამინდელი სრული სიები მოცემულია კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის რეზოლუციებში: რეზოლუცია #4 მოიცავს დაცულ ჰაბიტატებს, რეზოლუცია #6 - და-ცულ სახეობებს.

1.2 ზურმუხტის ქსელი


ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის დანერგვის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს ე.წ „ზურმუხტის ქსელი“ რომელიც „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიებისგან“ (Areas of Special Conservation Interest-ASCI) შემდგარ საერთაშორისო ეკოლოგიურ ქსელს წარმოადგენს, რომლებსაც ხშირად „ზურმუხტის ქსელის საიტებსაც“ უწოდებენ.

ზურმუხტის ქსელი ემსახურება იმ სახეობების დაცვას, რომელთა გრძელვადიანი გადარჩენა შეუძლებელია მათი ბუნებრივი ჰაბიტატების შენარჩუნების გარეშე. ტერიტორია ზურმუხტის საიტად შეიძლება გამოცხადდეს, თუ იგი ემსახურება ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კო-მიტეტის 1996 წლის №4 რეზოლუციით განსაზღვრული ჰაბიტატების და 1998 წლის №6 რეზოლუციით განსაზღვრული სახეობების კონსერვაციას. ამისათვის მთელ ევროპაში ხდება ისეთი ტერიტორიების შერჩევა, რომლებიც განსაკუთრებით მდიდარია ბერნის კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი ჰაბიტატებითა და სახეობებით.

„სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიებზე“ მყარდება მართვის განსაკუთრებული, თუმცა გარკვეულწილად მოქნილი, რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს, ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატებისა და სახეობების გრძელვადიან შენარჩუნებას.

2017 წელს, საქართველოს მთავრობის ინციატივით, ზურმუხტის ქსელის 3 საიტი (ლაგოდეხი, ვაშლოვანი და ბარარას აღკვეთილი) ოფიციალურად გამოცხადდა ზურმუხტის ქსელის საიტებად, რაც პირველი პრეცედენტია კავკასიის რეგიონში.

¹ჰაბიტატი — ცოცხალი ორგანიზმების საარსებო გარემო, სადაც თითოეული მათგანი ცხოვრობს, შოულობს საკვებს, მრავლდება, იზრდება და ვითარდება.



1.3 ზეამუნების კსელის მართვა და მონიტორინგი

„ზურმუხტის საიტის“ დაარსების შემდეგ უნდა დამყარდეს მართვის განსაკუთრებული რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს, ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატებისა და სახეობების გრძელვადიან შენარჩუნებას.

განსხვავებით დაცული ტერიტორიისგან, „ზურმუხტის საიტის“ მართვა არ გულისხმობს ადამიანის საქმიანობის უპირობო შეზღუდვას. ძირითადი არსი ისაა, რომ საიტებზე გამოირიცხოს ისეთი საქმიანობა, რომელიც ზიანს აყენებს ბერნის კონვენციით დაცულ კონკრეტულ სახეობას ან ჰაბიტატს, რომელიც ამ საიტზე გვხვდება და რომელთა დასაცავად მოცემული საიტი შეიქმნა.

„ზურმუხტის ქსელის“ საიტის დაარსების შემდეგ აუცილებელია შემუშავდეს ამ საიტის კონსერვაციული მიზნები/ამოცანები და მართვის გეგმა, სადაც მითითებული იქნება ის სახეობები და ჰაბიტატები, რომელთა დაცვა აუცილებელია საიტის ფარგლებში.

ბერნის კონვენციის წესების შესაბამისად, ტერიტორიის „ზურმუხტის ქსელის“ მართვის გეგმის მომზადება უნდა მოხდეს საიტად გამოცხადების მომენტიდან არა უგვიანეს 6 წლის განმავლობაში. გეგმის დამტკიცების შემდეგ უნდა დაიწყოს მისი განხორციელება და მართვის გეგმის მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი. შემდგომიში, თითოეული საიტისთვის ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ხდება მიზნებისა და ამოცანების საჭიროებისამებრ განახლება.

თუ ბურმუხტის ქსელის საიტი ემთხვევა დაცულ ტერიტორიას, მისი მართვა განხორციელდება შესაბამისი დაცული ტერიტორიის აღმინისტრაციის მიერ მოცემული დაცული ტერიტორიის მართვის გეგმით, რომელშიც ინტეგრირებულია ბურმუხტის ქსელის მიზნები და ამოცანები და შესაბამისი მართვის ღონისძიებები (ცალკე ახალი გეგმის შემუშავება საჭირო არ არის).

გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი უწყებები (როგორც წესი, გარემოს დაცვის სამინისტროები) უზრუნველყოფენ „ბურმუხტის ქსელის“ გამართულ ფუნცქიონირებას, ასევე ამტკიცებენ მართვის გეგმებს და ახორციელებენ ზოგად კონტროლს საიტებზე მიმღინარე საქმიანობასა და მონიტორინგზე. გარდა ამისა, გარემოს დაცვის უწყება პასუხისმგებელია ანგარიშგებაზე და ვალდებულია, რეგულარულად წარადგინოს ინფორმაცია ბერნის კონვენციის სამდივნოში, ამ კონვენციით დაცული ჰაბიტატებისა და სახეობების მდგომარეობის შესახებ.

ამავე დროს, ქვეყანა ვალდებულია, ანარმოოს ბერნის კონვენციის ფარგლებში დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგი ეროვნულ დონეზე (როგორც ბურმუხტის ქსელის ფარგლებში, ისე მის გარეთ), რაც ბიომრავალფეროვნების ერთიანი მონიტორინგის სისტემის ფარგლებში უნდა განხორციელდეს (საქართველო ვალდებულია ყოველ 5 წელიწადში ერთხელ წარუდგინოს მონიტორინგის ანგარიში ბერნის კონვენციის სამდივნოსა და ევროსაბჭოს).

მონიტორინგის მიზანი იქნება ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციული სტატუსის შეფასება, რაც დაგვანახებს, რამდენად ეფექტურად უზრუნველყოფს არსებული ქსელი/საიტები დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

1.4 სახარბიერო კონსერვირები სტატუსი

„ბურმუხტის ქსელის“ საიტის მართვის გეგმის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც საჭიროა სახეობებისა და ჰაბიტატების ე.წ „სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის“ შესანარჩუნებლად. ეს გულისხმობს, რომ საიტის ფარგლებში დაუშვებელია ნებისმიერი ქმედება ან საქმიანობის განხორციელება, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს დაცული სახეობის ან ჰაბიტატის „სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის“ შენარჩუნებაზე ან მიღწევაზე.

„სახარბიელო კონსერვაციული სტატუსი“ ნიშნავს, რომ ჰაბიტატს გააჩნია საკმარისი ფართობი და ხარისხობრივი მახასიათებლები, ხოლო სახეობებს – საკმარისი რიცხოვნობა იმისთვის, რომ, ამჟამინდელი თუ სამომავლოდ შესაძლო ზეწოლისა და საფრთხეების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იყოს, მისი გადარჩენა დროის გრძელვადიანი პერიოდში.

ჰაბიტატების შესაფასებლად ოფიციალური გზამკვლევი შემუშავების ეტაპზეა. მეორე მხრივ, ბერნის კონვენცია და ასოცირების ხელშეკრულება ითხოვს ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატების დეგრადაციის რისკის აღმოფხვრას. მნიშვნელოვანია, რომ ჰაბიტატების იდენტიფიცირება უნდა ჩატარდეს ე.წ. EUNIS-ის სისტემის შესაბამისად.

1.5 ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემა ანუ EUNIS ჰაბიტატების კლასიფიკაციის სისტემა

ქვეყნის ჰაბიტატების გამოვლენა და კლასიფიკაცია ურთულეს საკითხს წარმოადგენს. უნიფი-ცირებული კლასიფიკაციის სისტემის არარსებობა წლების განმავლობაში ბევრ გაუგებრობას იწვევდა და ართულებდა კონსერვაციული საქმიანობების ეფექტურ დაგეგმვასა და წარმართვას.

როგორც აღინიშნა, ჰაბიტატების დირექტივა არეგულირებს ჰაბიტატების კლასიფიკაციის საკითხს. ამ მიზნით, 2004 წელს შემუშავდა და 2012 წლიდან ძალაში შევიდა ევროპის ჰაბიტატების კლასიფიკაციის ახალი სისტემა - ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემა, რომელიც EUNIS ჰაბიტატების კლასიფიკაციის სისტემის სახელით არის ცნობილი. აღნიშნულმა სისტემამ ჩაანაცვლა ე.წ CORINE-ის სისტემა, რომელიც 1985-1990 წლებში CORINE Biotopes project-ის ფარგლებში შემუშავდა და „ჰაბიტატების დირექტივის“ მიღების მომენტში ევროპის ჰაბიტატების კლასიფიკაციის ერთადერთი უნიფიცირებული სისტემა იყო.

EUNIS წარმოადგენს ჰაბიტატების კლასიფიკაციის პან-ევროპულ სისტემას, რომელიც მთელი ევროპის მაშტაბით უზრუნველყოფს ჰაბიტატების აღწერისა და მონაცემების შეგროვების ერთიან ჰარმონიზებულ მიღვომებს. EUNIS არ არის მხოლოდ კლასიფიკაციის სისტემა. იგი წარმოადგენს ევროპის ბუნების საინფორმაციო სისტემის ნაწილს, რომელსაც იყენებს ევროპის გარემოს სააგენტო (European Environment Agency (EEA)) და ინტეგრირებულია ე.წ „ევროპის გარემოსდაცვითი ინფორმაციის სადამკვირებლო ევროპულ ქსელში“ (The European Environmental Information Observation Network (EIONET)².

ახალი კლასიფიკაციის სისტემა მოიცავს ევროპაში წარმოდგენილი ყველა ტიპის ბუნებრივ და ხელოვნურ ჰაბიტატს, ასევე მათ ამსახველ მონაცემთა ელექტრონულ ბაზას და ახსნა-განმარტებით დოკუმენტაციას. ძველი კლასისტიკაციის სისტემებისგან განსხვავებით, რომლებიც ტრადიციულად მხოლოდ ფიტოსოციოლოგიურ ასპექტებს ითვალისწინებდა, EUNIS სისტემა გარემოს ფიზიკურ ფაქტორებსაც ითვალისწინებს და ჰაბიტატებს ყოფს სამ ჯგუფად: ხმელეთის, მტკნარი წყლებისა და ბლვის ჰაბიტატები. აღნიშნული ჰაბიტატები იერარქიული სახითაა წარმოდგენილი და გეოგრაფიულად ფარავს მთელ ევროპას აქლანტიკიდან ურალის მთებისა და კავკასიის ჩათვლით. გარდა ამისა, EUNIS-ის კლასიფიკაციის სისტემა იძლევა ახალი, მათ შორის, კავკასიისა და საქართველოსთვის დამახასიათებული სპეციფიკური ჰაბიტატების დამატების საშუალებასაც.

„ზურმუხტის ქსელის“ განვითარების პროექტის ფარგლებში, საქართველოში იღენტიფიცირებული იქნა ჰაბიტატები, რომელთა „სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის“ შენარჩუნება წარმოადგენს ქვეყნის ვალდებულებას ბერნის კონვენციისა და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში. აღნიშნული ჰაბიტატები წარმოდგენილია ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის M-4 რეზოლუციაში და შეესაბამებიან ჰაბიტატების დირექტივის პირველ დანართში მითითებულ ჰაბიტატებს. მათი აღწერა ასევე განხორციელდა EUNIS-ის კლასიფიკაციის მიხედვით და ისინი მიეკუთვნებიან მკაცრად დასაცავი ჰაბიტატების კატეგორიას. აღნიშნულ ჰაბიტატთა მდგომარეობის შესახებ ქვეყანა ვალდებულია, აწარმოოს მონიტორინგი და მიაწოდოს ინფორმაცია ევროსაბჭოსა და ევროკომისიას.

²შემუშავებულ იქნა „ევროპის გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაცვის ტოპიკ-ცენტრი“ – The European Topic Centre for Nature Protection and Biodiversity (ETC/NPB in Paris) მიერ.

ჰაბიტატთა კლასიფიკაციის სქემა მოიცავს ჰაბიტატების 10 მსხვილ ერთეულს (A- J):

- A ზღვის ჰაბიტატები,
- B სანაპიროს ჰაბიტატები,
- C ხმელეთის შიდა ზედაპირული წყლები,
- D ჭაობები და დაჭაობებული ადგილები,
- E ნაირბალახეულით, ხავსებითა და მღიერებით დომინირებადი მდელოები და მიწის ნაკვეთები,
- F გაუდაბურებული ადგილები, დაბალი ბუჩქნარი და ტუნდრა,
- G ტყიანი ადგილები, ტყე და ხეებით დაფარული სხვა ადგილები,
- H მცენარეულობას მოკლებული ხმელეთის შიდა და მცენარეულობით მეჩხერად დაფარული ჰაბიტატები
- I საკვები კულტურების რეგულარულად ან ახლად კულტივირებადი, მებაღეობის და საოჯახო ჰაბიტატები
- J შენობებიანი, სამრეწველო და სხვა ხელოვნური ჰაბიტატები.

თითოეული მათგანი დაყოფილია იერარქიულ დონეებად და ეს დონეები სხვადასხვა მსხვილ ერთეულში ამ ერთეულის შესაბამისი პრინციპის საფუძველზეა გამოყოფილი. იერარქიულ დონეებად დაყოფის პრინციპი თითოეული მსხვილი ერთეულისთვის განმარტებულია სახელმძღვანელო დოკუმენტში (EUNIS Habitat Classification - (Davies et al., 2007)).

„ბურმუხტის ქსელის“ განვითარების პროგრამის ფარგლებში პირველად განხორციელდა საქართველოს ჰაბიტატების სისტემის ევროპის ჰაბიტატთა კლასიფიკაციის სქემასთან (Davies et al., 2007) მისადაგება. ასევე, როგორც აღინიშნა, მოხდა ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მე-4 რეზოლუციაში მითითებული ჰაბიტატების იდენტიფიცირება. აღნიშნული პროცესი ამჟამად დახვენის საფეხურზეა და უახლოეს მომავლაში მოხდება მკაცრად დასაცავი ჰაბიტატების სრული სიის იდენტიფიცირება.

**ჰაბიტატის ჩასახელების ჩამონათვალი, აღმოჩენის კონვენციის მე-4 აეზოდების
შესაბამისად ეკვემდებარება მკაცრ დაცვა³**

ჰაბიტატის დასახელება	ჰაბიტატის კოდი EUNIS-ის კლასიფიკაციის მიხედვით
ორსაგდულიანებისა (კლასი Bivalvia) და/ან ულვაშფეხიანი კიბოსნაირების (ქვერიგი Lepidomorpha) თანასაზოგადოებები	A1.11
სანაპირო მლაშე ჭარბწყლიანი არეები და მლაშე ლელიანები	A2.5
ინფრალიტორალური კლდეები და სხვა მყარი სუბსტრატები	A3
სანაპირო დიუნების ბუჩქნარი	B1.6
მუდმივი ოლიგოტროფული ტბები, ტბორები და გუბურები	C1.1
მოტივტივე ბუშტოსანების Utricularia australis-ისა და Utricularia vulgaris-ის კოლონიები	C1.224
მოტივტივე Salvinia natans -ის ხალიჩები	C1.225
მუდმივი შიდა მლაშე და მომლაშო ტბები, ტბორები და გუბურები	C1.5
დროებითი შიდა მლაშე და მომლაშო წყლები	C1.66

³ჩამონათვალი მოცემულია 2017 წლის ნოემბრის მონაცემების მიხედვით.

სახეობებით ღარიბი დაბალმოზარდი სანაპირო და წყალ-ხმელეთა (ამფიბიური) მცენარეული საფარი	C3.4
კენჭოვანი მდინარისპირების მეჩხერი მცენარეულობა	C3.55
მცენარეულ საფარს მოკლებული მდინარის კენჭოვანი ნაპირები	C3.62
მდიდარი ჭაობები, მათ შორის, ეუტროფული მაღალბალახოვანი ჭაობები და კარბონატული ჭარბწყლიანი ჰაბიტატები	D4.1
მაღალმთის ფუძე წყალსატევთა და მდინარეთა ნაპირები მდიდარი არქტიკულ-ალპური ფლორით	D4.2
ხმელეთის შიდა მლაშე ჭაობები	D6.1
მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა საფარი კირქვიანებზე და სტეპი ფუძე სუბსტრატებზე	E1.2
ხმელთაშუაზღვისპირული ქსეროფიტული ბალახოვანი ცენოზები	E1.3
ძიგვიანები (<i>Nardus stricta</i> -ს რაყები)	E1.71
ხმელთაშუაზღვისპირულ-მონტანური ძიგვიანები (<i>Nardus stricta</i> -ს რაყები)	E1.83
ნოტიო ან სველი ეუტროფული და მეზოტროფული ბალახოვანი ცენოზები	E3.4
ნოტიო ან სველი ოლიგოტროფული ბალახოვანი ცენოზები	E3.5
ნოტიო ან სველი მაღალბალახოვანი და გვიმრიანი არშიები და მდელოები	E5.4
შიდა კონტინენტური დამლაშებული სტეპები	E6.2
ცენტრალურ-ევროპული სუბ-კონტინენტური რაყები	F3.241
ეკლიანი ხმელთაშუაზღვისპირული ფრიგანა, ბალიშა მცენარეული საფარი და სანაპირო კლდეთა სხვა მსგავსი მცენარეულობა	F7
მდინარისპირა ბუჩქნარი	F9.1
სამხრეთული ჭალის პარკული ტყეები და რაყები (გარდა F9.35-ისა: ინვაზიური ბუჩქების მდინარისპირა რაყები)	F9.3
ჭალის ტირიფნარი	G1.11
ბორეო-ალპური ჭალის პარკული ტყეები	G1.12
მდინარისპირა იფანისა და მურყანის (<i>Fraxinus- Alnus</i>) ტყე, რომელიც მხოლოდ წყლის დონის ანევისას სველდება	G1.21
ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე	G1.3
შავი და კასპიის ბლვის სველ-ნიადაგიანი ტყე	G1.44
წიფლნარი	G1.6
აციდოფილური ტყე მუხის დომინირებით	G1.8
მუხის - იფანის - რცხილას (<i>Quercus - Fraxinus - Carpinus betulus</i> -ის) ტყე ეუტროფულ და მეზოტროფულ ნიადაგებზე	G1.A1
ხევებისა და ფერდობების ტყე	G1.A4
შავი და კასპიის ბლვების შერეელი ფოთოლმცვენი ტყე	G1.A7
ბალვანურ-პონტოური სოჭნარები	G3.17
აღმოსავლური ნაძვის (<i>Picea orientalis</i>) ტყეები	G3.1H
ევროპული ფიჭვის (<i>Pinus sylvestris</i>) პონტურ-კავკასიური ტყეები	G3.4E
წიწვიანი ტყე კვიპაროზისებრთა და უთხოვარისებრთა <i>Cupressaceae</i> -ს ან <i>Taxaceae</i> -ს დომინირებით	G3.9
ხმელეთის მიწისქვეშა მღვიმეები, მღვიმეთა სისტემები, მიწისქვეშა მდინარეები და წყალსატევები	H1
გუმბათიანი ჭაობის კომპლექსები	X04

პარის კონვენციის მუდმივობის კომიტეტის № 6 გაზოდულით მომული სახეობების ჩამონათვაღი⁴:

სახეობა	კოდი	ქართული სახელწოდება
<i>Accipiter brevipes</i>	A402	ქორცქიტა (ძავთვალა მიმინო, ლევანმიმინო)
<i>Accipiter gentilis arrigonii</i>	A400	ქორი
<i>Accipiter nisus granti</i>	A401	მიმინო
<i>Acipenser sturio</i>	1101	ატლანტური ზუთხი
<i>Acrocephalus melanopogon</i>	A293	შავთხემა მეცალია
<i>Aegithalos caudatus</i>	A324	თოხიტარა
<i>Aegolius funereus</i>	A223	ბუკიოტი
<i>Aegypius monachus</i>	A079	სვავი
<i>Agriades glandon aquilo</i>	1930	არქტიკული ცისფერა
<i>Agrimonia pilosa</i>	1939	შებუსვილი ბირკავა
<i>Alcedo atthis</i>	A229	ალკუნი
<i>Aldrovanda vesiculosa</i>	1516	ბუშტუკოვანი ალდროვანდა
<i>Anas platyrhynchos</i>	A053	გარეული იხვი
<i>Anas querquedula</i>	A055	წახნახა იხვი (იხვინჯა)
<i>Anas strepera</i>	A051	რუხი იხვი
<i>Anser albifrons flavirostris</i>	A395	თეთრშუბლა ბატი
<i>Anser erythropus</i>	A042	მცირე თეთრშუბლა ბატი
<i>Anthus campestris</i>	A255	მინდვრის მწყერჩიტა
<i>Aquila chrysaetos</i>	A091	მთის არწივი
<i>Aquila clanga</i>	A090	დიდი მყივანი არწივი (დიდი თეთრლაქებიანი არწივი)
<i>Aquila heliaca</i>	A404	ბექობის (თეთრმხრება) არწივი
<i>Aquila nipalensis</i>	A509	ველის არწივი
<i>Aquila pomarina</i>	A089	მცირე მყივანი არწივი (მცირე თეთრლაქებიანი არწივი)
<i>Ardea purpurea</i>	A029	წითერი (ქარცი) ყანჩა
<i>Ardeola ralloides</i>	A024	ყვითელი ყანჩა
<i>Asio flammeus</i>	A222	ჭაობის ბჟ
<i>Aythya ferina</i>	A059	წითელთავა ყვინთია
<i>Aythya fuligula</i>	A061	ქოჩორა ყვინთია
<i>Aythya nyroca</i>	A060	თეთრთავა ყვინჩია
<i>Barbastella barbastellus</i>	1308	მაჩქათელა
<i>Barbus capito</i>	1143	ჭანარი
<i>Botaurus stellaris</i>	A021	დიდი ყარაულა (წყლის ბუღა)
<i>Bubo bubo</i>	A215	გარნაშო
<i>Burhinus oedicnemus</i>	A133	თვალჭყეფია
<i>Buteo buteo</i>	A087	ჩვეულებრივი კავაჩა
<i>Buxbaumia viridis</i>	1386	მწვანე ბუქსბაუმია
<i>Calandrella brachydactyla</i>	A243	დიდი მოკლეთითა ტოროლა
<i>Calidris alpina schinzii</i>	A466	მექვიშია
<i>Callimorpha quadripunctaria</i>	1078	დათუნელა ჰერა
<i>Canis lupus</i>	1352	რუხი მგელი

⁴ჩამონათვალი მოცემულია 2017 წლის ნოემბრის მონაცემების მიხედვით.

<i>Capra aegagrus</i>	1372	ნიამორი
<i>Caprimulgus europaeus</i>	A224	უფეხურა
<i>Carduelis carduelis</i>	A364	ჩიტბატონა
<i>Carduelis chloris</i>	A363	მწვანულა
<i>Cerambyx cerdo</i>	1088	მუხის დიდი ხარაბუბა
<i>Certhia brachydactyla dorothaea</i>	A469	მოკლეთითა მგლინავა
<i>Certhia familiaris</i>	A334	ჩვეულებრივი მგლინავა
<i>Chalcalburnus chalcoides</i>	1141	შამაია
<i>Charadrius alexandrinus</i>	A138	ზღვის წინთალა
<i>Charadrius morinellus</i>	A139	ტიბუარა(მღრინავი)
<i>Chlidonias hybridus</i>	A196	ლოყათეთრი თევზიყლაპია
<i>Chlidonias leucopterus</i>	A198	ფრთათეთრი თევზიყლაპია
<i>Chlidonias niger</i>	A197	შავი თევზიყლაპია
<i>Ciconia ciconia</i>	A031	თეთრი ყარყატი
<i>Ciconia nigra</i>	A030	შავი ყარყატი
<i>Circaetus gallicus</i>	A080	გველიჭამია (ძერაბოტი)
<i>Circus aeruginosus</i>	A081	ჭაობის ძელქორი
<i>Circus cyaneus</i>	A082	მინდვრის ძელქორი (მინდვრის ბოლობეჭედა)
<i>Circus macrourus</i>	A083	ველის ძელქორი (ველის ბოლობეჭედა)
<i>Circus pygargus</i>	A084	მდელოს ძელქორი (მდელოს ბოლობეჭედა)
<i>Columba livia</i>	A206	გარეული მტრედი
<i>Columba oenas</i>	A207	გულიო (გვიძინი)
<i>Columba palumbus</i>	A208	ქედანი
<i>Coracias garrulus</i>	A231	ყაპყაპი
<i>Corvus corax</i>	A350	ყორანი
<i>Corvus corone</i>	A349	შავი ყვავი
<i>Coturnix coturnix</i>	A113	მწყერი
<i>Crex crex</i>	A122	ღალღა
<i>Cuculus canorus</i>	A212	გუგული
<i>Cygnus columbianus bewickii</i>	A037	მცირე მყივანი გედი
<i>Cygnus cygnus</i>	A038	უვითელნისკარტა (მყივანი) გედი
<i>Delichon urbica</i>	A253	ქალაქის მერცხალი
<i>Dendrocopos leucotos</i>	A239	თეთრბურგა კოდალა
<i>Dendrocopos major thanneri</i>	A428	დიდი ჭრელი კოდალა
<i>Dendrocopos medius</i>	A238	საშუალო ჭრელი კოდალა
<i>Dendrocopos syriacus</i>	A429	სირიული კოდალა
<i>Dicranum viride</i>	1381	მწვანე დიკრანუმი
<i>Dracocephalum austriacum</i>	1689	ავსტრიული გველთავა
<i>Drepanocladus vernicosus</i>	1393	პრიალა დრეპანოკლადუსი
<i>Dryocopus martius</i>	A236	შავი კოდალა
<i>Egretta alba</i>	A027	დიდი თეთრი ყანჩა
<i>Egretta garzetta</i>	A026	მცირე თეთრი ყანჩა
<i>Emberiza hortulana</i>	A379	ბაღის გრატა
<i>Emys orbicularis</i>	1220	ჭაობის კუ
<i>Erebia medusa polaris</i>	1932	შავტუხა მედუბა

<i>Falco biarmicus</i>	A101	წითელთავა შავარდენი
<i>Falco cherrug</i>	A511	ბარი (გავაზი)
<i>Falco columbarius</i>	A098	ალალი
<i>Falco naumanni</i>	A095	მცირე კირკიტა (ველის კირკიტა)
<i>Falco peregrinus</i>	A103	შავარდენი
<i>Falco tinnunculus</i>	A096	ჩვეულებრივი კირკიტა
<i>Falco vespertinus</i>	A097	ჭითელფეხა შავარდენი
<i>Ficedula albicollis</i>	A321	თეთრყელა ბუზიჭერია (მემატლია)
<i>Ficedula parva</i>	A320	წითელყელა (მცირე) ბუზიჭერია (მემატლია)
<i>Ficedula semitorquata</i>	A442	ნახვრად-თეთრყელა ბუზიჭერია (მემატლია)
<i>Fringilla coelebs ombriosa</i>	A448	სკვინჩა
<i>Gallinago media</i>	A154	დიდი ჩიბუხა (გოჭა)
<i>Gavia arctica</i>	A002	შავყელა ღორიხვა
<i>Gavia stellata</i>	A001	წითელყელა ღორიხვა
<i>Gelochelidon nilotica</i>	A189	თოლიისნისვარტა თევზიყლაპია
<i>Glareola nordmanni</i>	A515	შავფრთიანი მერცხალა
<i>Glareola pratincola</i>	A135	უღალფრთიანი მერცხალა
<i>Grus grus</i>	A127	რუხი წერო
<i>Gypaetus barbatus</i>	A076	ბატვანძერი (ჭვერიანი სვავი, ყაჭირი, კრავიჭამია)
<i>Gyps fulvus</i>	A078	ორბი
<i>Haliaeetus albicilla</i>	A075	თეთრკუდა ფსოვი (თეთრკუდა არწივი)
<i>Hesperia comma catena</i>	1933	მსხვილთავა წვირა
<i>Hieraaetus pennatus</i>	A092	ჩია არწივი
<i>Himantopus himantopus</i>	A131	ოჩოფეხა
<i>Ixobrychus minutus</i>	A022	მცირე ყარაულა
<i>Kosteletzkyia pentacarpos</i>	1581	ხეთნაყოფა კოსტელცია
<i>Lacerta clarkorum</i>	2402	კლარკის ხვლიკი (თურქული ხვლიკი)
<i>Lanius collurio</i>	A338	ჩვეულებრივი ღაჟო
<i>Lanius minor</i>	A339	შავშებლა ღაჟო
<i>Larus genei</i>	A180	წვრილნისვარტა თოლია
<i>Larus melanocephalus</i>	A176	შავთავა თოლია
<i>Leucorrhinia pectoralis</i>	1042	ორფეროვანი ნემსიყლაპია
<i>Ligularia sibirica</i>	1758	ციმბირული ლიგულარია
<i>Limosa lapponica</i>	A157	ბოლიანკუდა ლია
<i>Lindenia tetraphylla</i>	1043	ოთხფოთოლა ლინდენია
<i>Lullula arborea</i>	A246	ტყის ტოროლა
<i>Luscinia svecica</i>	A272	ცისფერგულა
<i>Lutra lutra</i>	1355	წავი
<i>Lycaena dispar</i>	1060	მუაუნას არაფარდი მრავალთვალა
<i>Lynx lynx</i>	1361	ფოცხვერი
<i>Marsilea quadrifolia</i>	1428	ოთხფოთოლა მარსილეა
<i>Mauremys caspica</i>	1222	კასპიის კუ
<i>Meesia longiseta</i>	1389	გრძელყუნწა მეებია
<i>Melanitta fusca</i>	A066	თეთფრთიანი გარიელა
<i>Melanocorypha calandra</i>	A242	ველის ტოროლა

Mergus albellus	A068	მცირე ბატასინა
Merops apiaster	A230	ოქროსფერი კვირიონი
Milvus migrans	A073	ძერა
Milvus milvus	A074	წითელი ზერა (ბორა)
Miniopterus schreibersi	1310	ჩვეულებრივი ფრთაგრძელი
Mustela lutreola	1356	წაულა
Myotis bechsteini	1323	გრძელყურა მღამიობი
Myotis blythii	1307	ულვაშა მღამიობი
Myotis emarginatus	1321	სამფერი მღამიობი
Neophron percnopterus	A077	ფასკუნჯი
Nycticorax nycticorax	A023	ღამის ყანჩა
Otis tarda	A129	სავათი
Oxyura leucocephala	A071	თეთრთავა იხვი
Paeonia tenuifolia	2098	ველის იორდასალამი
Pandion haliaetus	A094	შაკი
Panthera pardus	2023	ჭიქი
Parus ater	A328	მცირე წივნივა (წიწვანა)
Pelecanus crispus	A020	ქოჩორა (ხუჭუჭა) ვარხვი
Pelecanus onocrotalus	A019	ვარდისფერი ვარხვი
Perdix perdix	A112	გნოლი
Pernis apivorus	A072	კრაბანჯამია (ირაო)
Phalacrocorax pygmeus	A393	მცირე ჩვამა
Phalaropus lobatus	A170	წითელნისკარტა (მრგვალნისკარტა) ტივტივა
Philomachus pugnax	A151	ტურქებანი (მაჩხუბარა კოკორინა)
Phocoena phocoena	1351	ბღვის ღორი
Phoenicopterus ruber	A035	ჩვეულებრივი ფლამინგო
Platalea leucorodia	A034	შერო
Plegadis falcinellus	A032	ივეოსი
Pluvialis apricaria	A140	ოქროსფერი მეჭვავია
Podiceps auritus	A007	სწორნისკარტა (ან წითელყელა) კოკონა
Porphyrio porphyrio	A124	ხონთქრის ქათამი
Porzana parva	A120	მცირე ქათამურა
Porzana porzana	A119	ქათამურა
Porzana pusilla	A121	პანაზა ქათამურა
Prunella modularis	A266	ტყის ჭვინტავა
Pterocles alchata	A205	თეთრმუცელა გვრიტიტა
Pterocles orientalis	A420	შავმუცელა გვრიტიტა
Puffinus yelkouan	A464	ხმელთაშუაზღვის ქარიშხალა
Pyrrhocorax pyrrhocorax	A346	წითელნისკარტა მაღრანი
Recurvirostra avosetta	A132	საღვისნისკარტა
Rhinolophus blasii	1306	ხმელთაშუაზღვის ცხვირნალა
Rhinolophus euryale	1305	სამხრეთული ცხვირნალა
Rhinolophus ferrumequinum	1304	დიდი ცხვირნალა
Rhinolophus hipposideros	1303	მცირე ცხვირნალა
Rhinolophus mehelyi	1302	სათვალიანი (მეჭელის) ცხვირნალა

Rosalia alpina	1087	ალპური ხარაბუზა
Sitta krueperi	A444	შავთავა ხეცოცია
Stephanopachys linearis	1926	ცრუქერქიფამია
Sterna albifrons	A195	მცირე თევზიყლაპია
Sterna caspia	A190	კასპიური თევზიყლაპია
Sterna hirundo	A193	ჩვეულებრივი თევზიყლაპია
Sterna sandvicensis	A191	ჭრელნისკარტა თევზიყლაპია
Steveniella satyrioides	2333	სატირიასებრი სტევენიელა
Sylvia nisoria	A307	მიმინოსებრი ასპუჭაკა
Tadorna ferruginea	A397	წითელი იხვი
Tadorna tadorna	A048	ამლაყო იხვი
Testudo graeca	1219	ხმელთაშუაზღვის კუ
Tetrao tetrix	A128	სარსარაკი
Tringa glareola	A166	ტყის მენაპირე
Triturus karelinii	1171	ტრიტონი
Troglodytes troglodytes fridariensis	A434	ჭინჭრაქა
Turdus merula	A283	შაშვი
Turdus philomelos	A285	წრიპა შაშვი (მგალობელი შაშვი)
Turdus viscivorus	A287	ჩხართვი
Tursiops truncatus	1349	აფალინა
Ursus arctos	1354	მურა დათვი
Vaccinium arctostaphylos	2172	მაღალი მოცვი
Vipera kaznakovi	2008	კავკასიური გველგესლა
Xenus cinereus	A167	რუხი აპრეხილნისკარტა მექვიშია
Vipera ursinii rakosiensis	4121	ველის გველგესლა

დაგრეულის ზურავების საიტის გავალებები გარეთ გარეთ კონკრეტული დაცული სახეობებისა და
კებილებების ჩამონათვალი

სახეობები

Callimorpha quadripunctaria	1078	დათუნელა ჰერა
Canis lupus	1352	რუხი მგელი
Rosalia alpina	1087	ალპური ხარაბუზა
Ursus arctos	1354	მურა დათვი
Barbastella barbastellus	1308	მაჩქათელა
Lynx lynx	1361	ფოცხვერი
Barbus capito	1143	ჭანარი
Cerambyx cerdo	1088	მუხის დიდი ხარაბუზა
Emys orbicularis	1220	ჭაობის კუ
Hesperia comma catena	1933	მსხვილთავა წკირა
Leucorrhinia pectoralis	1042	ორფეროვანი ნემსიყლაპია
Lindenia tetraphylla	1043	ოთხფოთოლა ლინდენია
Lycaena dispar	1060	მუჯნას არაფარდი

<i>Myotis blythii</i>	1307	ულვაშა მღამიობი
<i>Rhinolophus ferrumequinum</i>	1304	დიდი ცხვირნალა
<i>Rhinolophus hipposideros</i>	1303	მცირე ცხვირნალა
<i>Stephanopachys linearis</i>	1926	ცრუქერქიჭამია
<i>Triturus karelinii</i>	1171	ტრიტონი
<i>Vaccinium arctostaphylos</i>	2172	კავკასიური მოცვი

კაგიზაგი

მაღალმთის ფუძე წყალსატევთა და მდინარეთა ნაპირები მდიდარი არქტიკულ-ალპური ფლორით	D4.2
მდინარისპირა ბუჩქნარი	F9.1
ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე	G1.3
წიფლნარი	G1.6

ვაშლოვანის ზეამუშავის საიტის გავალებული გეანის კონცენტრით დაცული სახეობებისა და
კაგიზაგის ჩამონათვალი

სახეობები

<i>Canis lupus</i>	1352	რუხი მგელი
<i>Ursus arctos</i>	1354	მურა დათვი
<i>Gazella subguturoza</i>	2649	ქურციკი
<i>Lutra lutra</i>	1355	წავი
<i>Lynx lynx</i>	1361	ფოცხვერი
<i>Panthera pardus</i>	2023	ჰიენა
<i>Rhinolophus mehelyi</i>	1302	სათვალიანი (მეპელის) ცხვირნალა
<i>Testudo graeca</i>	1219	ხმელთაშუაზღვის კუ
<i>Chalcalburnus chalcoides</i>	1141	შამაია
<i>Emys orbicularis</i>	1220	ჭაობის კუ
<i>Lycaena dispar</i>	1060	მუაუნას არაფარდი
<i>Mauremys caspica</i>	1222	კასპიის კუ
<i>Myotis blythii</i>	1307	ულვაშა მღამიობი
<i>Myotis emarginatus</i>	1321	სამფერი მღამიობი
<i>Paeonia tenuifolia</i>	2098	ველის იორდასალამი
<i>Rhinolophus ferrumequinum</i>	1304	დიდი ცხვირნალა
<i>Rhinolophus hipposideros</i>	1303	მცირე ცხვირნალა
<i>Stephanopachys linearis</i>	1926	ცრუქერქიჭამია

კაგიზაგი

მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა საფარი კირქვიანებზე და სტეპი ფუძე სუბსტრატებზე	E1.2
ეკლიანი ხმელთაშუაზღვისპირული ფრიგანა, ბალიშა მცენარეული საფარი და სანაპირე კლდეთა სხვა მსგავსი მცენარეულობა	F7
წიწვიანი ტყე კვიპაროზისებრთა ან უთხოვარისებრთა Cupressaceae-ს ან Taxaceae-ს დომინირებით	G3.9
შიდა კონტინენტური დამლაშებული სტეპები	E6.2

**ბანაკას ზეარანცის საიტების გავალებული გერნის კონცენციით დაცული სახეობებისა და
კაგიზაგების ჩამონაშვალი**

სახეობები

<i>Canis lupus</i>	1352	რუხი მგელი
<i>Ursus arctos</i>	1354	მურა დათვი
<i>Barbastella barbastellus</i>	1308	მაჩქათელა
<i>Lynx lynx</i>	1361	ფოცხვერი
<i>Leucorrhinia pectoralis</i>	1042	ორფეროვანი ნემსიყლაპია
<i>Lycaena dispar</i>	1060	მჟაუნას არაფარდი
<i>Miniopterus schreibersi</i>	1310	ჩვეულებრივი ფრთაგრძელი
<i>Myotis blythii</i>	1307	ულვაშა მღამიობი
<i>Myotis emarginatus</i>	1321	სამფერი მრამიობი
<i>Rhinolophus ferrumequinum</i>	1304	დიდი ცხვირნალა
<i>Rhinolophus hipposideros</i>	1303	მცირე ცხვირნალა
<i>Triturus karelinii</i>	1171	ტრიტონი

კაგიზაგები

წიფლნარი	G1.6
წიწვიანი ტყე კვიპაროზისებრთა ან უთხოვარისებრთა Cupressaceae-ს ან Taxaceae-ს დომინირებით	G3.9



თავი 2.
მცენარეთა პოპულაციების
მონიტორინგი


შესავალი

სახეობათა პოპულაციების წარმატებული ხანგრძლივი მონიტორინგისათვის უმნიშვნელოვანესია წინასწარი, საპილოტო კვლევის ჩატარება. საპილოტო კვლევის (პოპულაციის პარამეტრთა საპილოტო ნიმუშის აღების) მთავარი მიზანი კვლევის წინასწარი გეგმის ეფექტურობის შეფასებაა.

მონიტორინგისათვის **პრიორიტეტული სახეობების შერჩევა** კვლევის პირველი ეტაპია. შემდეგ უნდა განისაზღვროს **კვლევის მასაშტაბი**. მონიტორინგის მასშტაბი შეიძლება მოიცავდეს ერთ მცირე ლოკალურ პოპულაციას, რომელიც რამდენიმე ინდივიდისაგან შედგება (ლოკალური მასშტაბი) ან მრავალ მსხვილ პოპულაციას და სახეობის მთელ არეალს (ლანდშაფტური მასშტაბი).

თუ მონიტორინგისათვის განკუთვნილი რესურსები შეზღუდულია, მკვლევარი იძულებულია სახეობის ყველა ცნობილი პოპულაციიდან ერთი ან რამდენიმე აირჩიოს (მაგ., ე.წ. გაპ-ანალიზით). მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ამა თუ იმ პოპულაციის მონიტორინგი არ გვაძლევს საშუალებას, დასკვნა ამ სახეობის ყველა პოპულაციის შესახებ გავაკეთოთ. იმ შემთხვევაშიც კი, როცა პოპულაცია შემთხვევითი წესითა შერჩეული, არ არის სწორი დავასკვნათ, რომ ის ასახავს სხვა პოპულაციებში არსებულ პირობათა სპექტრსა და ტენდენციებს. თუმცა შესაძლებელია სხვა პოპულაციების **თვისობრივმა** მონიტორინგმა აჩვენოს, რომ ტენდენცია ან პირობები ამ პოპულაციებში მსგავსია იმისა, რაც აღინიშნა რაოდენობითი ხერხებით შესწავლილ პოპულაციაში /პოპულაციებში.

თვისობრივი მონიტორინგის მაგალითებია: **ადგილმდებარეობის პირობების ანალიზი**, რაც ჰაბიტატის ხარისხის განმეორებად შეფასებას გულისხმობს (მონიტორინგი გვაძლევს საშუალებას შევნიშნოთ ცხადი და ძლიერი ცვლილებები, რომლებიც შეიძლება აისახოს ფოტო- ან ვიდეო-გადაღებით ან წერილობითი აღწერებით სტანდარტულ ფურცლებზე); **პოპულაციის მდგომარეობის შეფასება**, როცა დამკვირვებელი აფასებს პოპულაციის მდგომარეობას იმის მიხედვით, ხდება თუ არა ექსპლუატაცია და თუ ხდება, რამდენად ინტენსიურია, აღინიშნება თუ არა დაავადებები; **დემოგრაფიული განაწილების შეფასება** ანუ პოპულაციის გარკვეული კლასების, მაგ., ღივების, არარეპროდუქციული ზრდასრული, რეპროდუქციული და ხნიერი ინდივიდების თანაფარდობის შეფასება; და სხვ. ჩვენ მიერ სამიზნე პოპულაციებისათვის შემოთავაზებული რაოდენობითი მეთოდს ამავე პოპულაციების აღწერილი თვისობრივი შეფასებაც უნდა ახლდეს თან, რაც ასახულია შესავსებ საველე ფურცლებში.



სურ. 1. ა, ბ. მაკრონაკვეთების (მართვულხედები და კვადრატები) განლაგება უსწორმასწორო საზღვრების მქონე საკვლევ პოპულაციაში (წვრილი ხაზები). გარე მსხვილი ხაზი მდინარეს აღნიშნავს.

ა. ერთი მაკრონაკვეთი განთავსებულია საკვლევ პოპულაციაში.

ბ. სამი მაკრონაკვეთი რანდომულადაა განთავსებული საკვლევ პოპულაციაში (Elzinga et al., 1998)

რაოდენობრივი მონიტორინგის ტიპებია: **ცენსუსი**, რაც გულისხმობს პოპულაციის ყველა ინდი-ვიდის დათვლას და **ნიმუში-სინკი**, რაც მცენარეთა პოპულაციის მხოლოდ ნაწილის შესწავლას ითვალისწინებს; არც ერთი ნიმუში არ არის პოპულაციის, როგორც მთლიანის იდენტური ასახვა - ის პოპულაციის ამა თუ იმ პარამეტრის შეფასების საშუალებას გვაძლევს. ამიტომ ნიმუშს უკავშირდება გარკვეული ცდომილება (სხვაობა ნიმუშის საფუძველზე გავეთებულ შეფასებასა და პოპულაციის ამა თუ იმ პარამეტრის რეალურ მნიშვნელობას შორის). სტატისტიკა არის ამ ცდომილების დასადგენი ინსტრუმენტი. ნიმუშის-სინკის აღებით შეიძლება განისაზღვროს პოპულაციის სხვადასხვა პარამეტრი, მაგ., ინდივიდთა სიმჭიდროვე, შეხვედრის სიხშირე, დაფარულობა, ბიომასა.

იმ შემთხვევაში, თუ პოპულაცია შედარებით მცირერიცხოვანია და მკვლევარს აქვს ყველა ინდივიდის დათვლის შესაძლებლობა, რეკომენდებული მეთოდი **ცენსუსია**, სხვა შემთხვევაში აუცილებელია **ნიმუშის, ანუ სინკის აღების მიღების** გამოყენება.

2.1. მაკრო-ნაკვეთების შეაჩევა კოკურაციის კვლევისას


როცა პოპულაცია მცირეა და განაწილებულია მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან არებე, როგორც, მაგ., მცენარეები შემოღობილ საძოვარზე, შესაძლებელია **სანიმუშე ნაკვეთების** განლაგება **საკვლევი პოპულაციის** მიერ დაკავებულ მთელ არეზე. თუმცა ჩვეულებრივ საკვლევი პოპულაციის ფარგლებში გამოყოფენ **მაკრო-ნაკვეთებს**, სადაც შემდეგ უფრო მცირე სიღიდის **სანიმუშე ნაკვეთები** განლაგდება; მაკრო-ნაკვეთების გამოყოფის წესს შემდეგი ორი ფაქტორი განსაზღვრავს: (1) საკვლევი პოპულაციის უსწორმასწორო საზღვრები; და (2) საკვლევი პოპულაციის მიერ დაკავებული არე.

(1) მცირე პოპულაცია უსწორმასწორო საზღვრებით

როცა საკვლევი პოპულაცია პატარაა, მაგრამ უსწორმასწორო საზღვრები აქვს, შესაძლებელია პოპულაციის ფარგლებში შემოვხაზოთ სწორკუთხა პოლიგონი, მაგ., კვადრატი ან მართკუთხედი (იხ. სურ. 1. ა). ეს სწორკუთხა არე **მაკრო-ნაკვეთია**. მაკრო-ნაკვეთი, როგორც წესი, მუდმივია და ამიტომ საჭიროა მოინიშნოს (მაგ., მისი რომელიმე კუთხე და ერთ-ერთი გვერდის მიმართულება). მაკრო-ნაკვეთის გამოყენება აიღონებს სანიმუშე ნაკვეთების განაწილებას პოპულაციაში და უზრუნველყოფს ყოველწლიურად ნიმუშის ერთიდაიმავე არედან აღებას.

(2) ვრცელი პოპულაცია

თუ საკვლევი პოპულაცია ვრცელ გეოგრაფიულ არეს ფარავს, დროისა და ფინანსური რესურსების ნაკლებობა ვრცელი პოპულაციის ფარგლებში ინდივიდთა ვარიაბელობის, ანუ ცვალებადობის ფართო დიაპაზონთან ერთად ხშირად გვაიძულებს შემოვფარგლოთ შედარებით მცირე გეო-გრაფიული არე/არეები ნიმუშის ასაღებად. ეს შეიძლება რამდენიმე ხერხით გაკეთდეს:



სურ. 2. ა, ბ, გ.

ერთი კვადრატული მაკრონაკვეთი განთავსებული საკვლევ პოპულაციაში. ა. რანდომული განთავსება. ბ. სუბიექტური განთავსება. გ. შემთხვევითი წესით განთავსება „რეპრეზენტატულ“ არეზე, მოცემულია „პენქტირით“ (Elzinga et al., 1998)

- რამდენიმე მაკრო-ნაკვეთი შეიძლება შემთხვევითი წესით განთავსდეს საკვლევ პოპულაციაში. შესრულებული სტატისტიკური გამოთვლები შეიძლება განზოგადდეს მთელი პოპულაციისათვის (სურ. 1.ბ). ვრცელ პოპულაციაში შემთხვევითი წესით შერჩეული ერთი მაკრო-ნაკვეთი (სურ. 2.ა) არ გვაძლევს შედეგების მთელ პოპულაციაზე გავრცობის საშუალებას.

- ერთი ან მეტი მაკრო-ნაკვეთი შეიძლება სუბიექტურად განთავსდეს საკვლევ პოპულაციაში. თუ მაკრონაკვეთი სუბიექტურადაა განთავსებული საკვლევ პოპულაციაში, დასკვნები შეიძლება მხოლოდ მაკრო-ნაკვეთებში მიმდინარე პროცესების შესახებ გავეთდეს (სურ. 2.ბ). ეს მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ, თუ შეზღუდული რესურსები ერთ-ორ მაკრონაკვეთზე მეტის გამოყოფის საშუალებას არ გვაძლევს.

- ერთი ან მეტი მაკრონაკვეთი შეიძლება შემთხვევითი წესით განთავსდეს შერჩეულ უბანზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საკვლევი პოპულაციის თვალსაჩინო ანუ რეპრეზენტატულ უბნად. ეს პროცესი, რაც ილუსტრირებულია სურ. 2.გ-ზე, ამ-ცირებს დამკირვებლის მიდგომის სუბიექტურობას მაკრო-ნაკვეთის განთავსებასთან დაკავშირებით. თუ ამ გზით შერჩეული იქნება ერთი მაკრო-ნაკვეთი, სტატისტიკური შეფასებები შეეხება მხოლოდ მაკრო-ნაკვეთის არეს.


2.2. მცენარეთა კოკულაციების შეაჩერები კაგამეზები ემაგარების სიიგენი სამიზნე სახეობებითა კოკულაციების აღმოჩენის კვლევისათვის

მონიტორინგისთვის საკვლევ მცენარეთა ბიოლოგიის თავისებურებების შესაბამისად, შევარჩიეთ პოპულაციების საკვლევი პარამეტრები და შესაბამისი მეთოდები, რომლებიც მცენარეთა ამ ჯგუფებს სხვა პარამეტრებსა და მეთოდებზე უკეთ მიესადაგება: გეოფიტებისა და დღეგრძელი ბალახოვანი მცენარეების შემთხვევაში (> 5 წელი) ეს არის შეხვედრის სიხშირე, ხოლო მერქნიანების შემთხვევაში - დაფარულობა.

2.2.1. შეხვედრის სიხშირის გადახის მეთოდის აღწერა

2.2.1.1. გოგადი მითითებები

შეხვედრის სიხშირე შეიძლება განისაზღვროს, როგორც სანიმუშე პოპულაციაში საკვლევი სახეობით დაკავებული სანიმუშე ნაკვეთების პროცენტული წილი. შეხვედრის სიხშირის თვალსაჩინოდ გამოხატვა შესაძლებელია სანიმუშე პოპულაციის მიერ დაკავებული არის გამოსახულებაზე იმავე ზომის უჭრედებისაგან შედგენილი ბადის გადაფარებით, როგორც სანიმუშე ნაკვეთის ფართობია. დაკავებულია თუ არა ნაკვეთი სამიზნე სახეობით, მხოლოდ ამ სახეობის ნაკვეთზე არსებობით განისაზღვრება; სახეობის ინდივიდთა სიმრავლეს ნაკვეთზე არა აქვს მნიშვნელობა - ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ სახეობის ყოველ ნაკვეთზე ყოფნა/არყოფნა გვაინტერესებს.



სურ. 3. სტადიური კლასების
ილუსტრაცია: ერთი ნაკვეთის ორი
სურათი 1995 და 1996 წლის.
პოლიგონები გვიჩვენებს საფარს;
ასოება აღნიშნავს ინდივიდებს: r -
რეპროდუქციული ინდივიდები,
n - არა-რეპროდუქციული ინდივიდები,
s - ღივები (Elzinga et al., 1998)

ვინაიდან სამიზნე სახეობა უფრო დიდი ალბათობით შე-
გვხვდება დიდ ნაკვეთზე, ვიდრე პატარაზე, შეხვედრის სიხ-
შირე ნაკვეთის ზომასა და ფორმაზე დამოკიდებული სიდიდეა.
სხვადასხვა კვლევის შედეგად გამოვლენილი შეხვედრის
სიხშირის მნიშვნელობათა ურთიერთშედარება მხოლოდ მა-
შინაა შესაძლებელი, როცა შესაძარებელ კვლევებში გამო-
ყენებულია იდენტური ნაკვეთები. როგორც აღინიშნა, სანი-
მუშე ნაკვეთის სიდიდე განსაზღვრავს შეხვედრის სიხშირის
მნიშვნელობას. რაც უფრო დიდია ნაკვეთი, მით მეტია იმის
ალბათობა, რომ მცენარე ნაკვეთზე აღმოჩნდება, რაც ზრდის
შეხვედრის სიხშირის საერთო სიდიდეს. თუ ნაკვეთები საკ-
მარისად დიდია, ყოველ მათგანზე მოიძებნება საკვლევი მცე-
ნარე და შეხვედრის სიხშირე 100%-ის ტოლი იქნება. ეს არ
გვიტოვებს საკმარის მგრძნობელობას შეხვედრის სიხშირის
შემდგომი შესაძლო მატებისათვის. შეხვედრის სიხშირის მნი-
შვნელობა, პირველ წელიწადს მაინც, უნდა იყოს 30%-დან
70%-მდე. მაგრამ თუ შეხვედრის სიხშირის მხოლოდ ერთი
მიმართულებით ცვლილება გვაინტერესებს, შეიძლება ეს
სამიზნე პროცენტული წილები შევცვალოთ. მაგალითად, თუ
გვაინტერესებს მხოლოდ შემცირება შევნიშნოთ, შეიძლე-
ბა სამიზნე საწყის მნიშვნელობებად შევარჩიოთ დიაპაზონი
50%-დან 80%-მდე, რათა უზრუნველვყოთ შემცირებისადმი
მგრძნობელობის ფართო კიდე.

2.2.1.2. ნაკვეთების ზომა და ფორმა

შეხვედრის სიხშირის შესასწავლი სანიმუშე ნაკვეთი ჩვეულებ-
რივ კვადრატულია. შეხვედრის სიხშირის შესასწავლად შე-

იძლება ბუდეებიანი ჩარჩოს გამოყენება (სურ. 4); ასეთი ჩარჩოები გამოიყენება ბალახოვანი
მცენარეული საფარის ფიტომრავალფეროვნების კვლევისათვის. ჩარჩოს ჩვეულებრივი ზომაა
50სმ x 50სმ; ჩარჩო დაყოფილია ოთხ უფრო პატარა ჩარჩოდ (5სმ x 5სმ, 25სმ x 25სმ, და 25სმ
x 50სმ). ბუდიანი ჩარჩოს გამოყენება საუკეთესო მიღვომაა საპილოტო კვლევისას საკვლევ
პოპულაციაში ინდივიდთა შეხვედრის სიხშირის შესასწავლად საუკეთესო ზომის კვადრატის
შერჩევისათვის. ამ ოთხი ზომის ჩარჩოდან პირველი წლის საპილოტო კვლევის შედეგების
მიხედვით შემდგომი მონიტორინგისათვის უნდა შეირჩეს იმ ზომის ჩარჩო, რომლის გამოყენების
შედეგად შეხვედრის სიხშირის გამოთვლილი მნიშვნელობა კონკრეტული კვლევისათვის საჭირო
ფარგლებში აღმოჩნდება, მაგ., 30%-დან 70%-მდე (იხ. გემოთ). ბუდიანი ჩარჩო შეიძლება მო-
სახერხებელი იყოს სტადიური კლასების შეხვედრის სიხშირის შესასწავლად. სტადიური კლასებია,
მაგალითად, ღივის, არა-რეპროდუქციულ და რეპროდუქციულ ინდივიდთა კლასები. თუ, მაგ.,
ღივების სიმრავლე აღემატება ზრდასრული ინდივიდებისას, შეიძლება ეფექტური იყოს ჩარჩოს
დიდი კვადრატის გამოყენება ზრდასრული ინდივიდების, ხოლო ჩასმული მცირე კვადრატისა -
ღივების შეხვედრის სიხშირის დასადგენად.

მოცემულ სახელმძღვანელოში სამიზნე ბალახოვან მცენარეთა კვლევისათვის გათვალისწინებუ-
ლია საკვლევი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების მონიტორინგისათვის 1მ x 1მ სიდიდის
ჩარჩოს გამოყენება (მარტივი ჩარჩო ბუდეების გარეშე), ხოლო შესაძლო სტადიური კლასებიდან
განხილული იქნება არა-რეპროდუქციულ და რეპროდუქციულ ინდივიდთა კლასები.



სურ. 4. ბუდეებიანი ჩარჩო (http://www.webpages.uidaho.edu/veg_measure/index.htm)

2.2.1.3. თვლის ერთეულები სანიმუშე ნაკვეთის კიდეებზე

კვლევისას უნდა განისაზღვროს მცენარე ნაკვეთის ფარგლებშია თუ მის ფარგლებს გარეთ. საჭიროა გარკვეული წესის დადგენა და მონიტორინგის დროს ყოველთვის ამ წესის გამოყენება. ჩვეულებრივ, იმ მცენარეებს ვითვალისწინებთ, რომლებსაც ფესვები ნაკვეთის ფარგლებში აქვთ. ამგვარი განსაზღვრება ყველაზე იოლად მისაყენებელია იმ შემთხვევისათვის, როცა მცენარეს მკაფიო და საკმარისად მცირე დიამეტრის ღეროები აქვს, მაგრამ მცენარეები ფართო ფუძით (მაგ., კორდიანი ბალახი ან ხემცენარე) შეიძლება ნაწილობრივ ნაკვეთში იყოს და ნაწილობრივ - მის გარეთ.

როცა მცენარე სანიმუშე ნაკვეთის საზღვარზეა, ცდომილების მინიმიზაციისათვის შეიძლება ავირჩიოთ შემდეგი ორი წესიდან ერთი: (1) თვლის ერთეულები თითო მცენარის გამოტოვებით მივიჩიოთ ნაკვეთის შიგნით მყოფებად და დანარჩენები - ნაკვეთის გარეთ მყოფებად; ან (2) მცენარეები, რომლებიც კვეთენ სწორკუთხა სანიმუშე ნაკვეთის ორ მოსაზღვრე გვერდს (მაგ., ზედასა და მარცხენას) მივიჩიოთ ნაკვეთის ფარგლებში მყოფებად, ხოლო მცენარეები, რომლებიც კვეთენ დანარჩენ ორ მოსაზღვრე გვერდს (შესაბამისად, ქვედას და მარჯვენას) - ნაკვეთის გარეთ მყოფებად.

2.2.1.4. სანიმუშე ნაკვეთების განლაგება

შეხვედრის სიხშირის დასადგენი ნაკვეთები შეიძლება განლაგდეს, მაგ., ტრანსექტების ანუ მაკრო-ნაკვეთის ერთ-ერთი გვერდის პარალელურად გავლებული წრფეების (გადაჭიმული თოკების) გასწროვა. შემთხვევითი წესით გავლებული ტრანსექტების გასწროვ სისტემატურად განაწილებული ნაკვეთები უფრო ეფექტურად განთავსდება სანიმუშე პოპულაციაში, ვიდრე ცალ-ცალკე შემთხვევითი წესით შერჩეულ წერტილებში განაწილებული ნაკვეთები. ამიტომ ტრაქტნსექტების გამოყენება ყველაზე გავრცელებული მიღვომაა. მნიშვნელობა აქვს ნაკვეთის კიდეების (იხ. 2.2.1.2) დადგენის წესის განსაზღვრასა და სტადიური კლასების (იხ. 2.2.1.3) დადგენას.


უფრო დეტალურად განვიხილოთ სანიმუშე ნაკვეთების განაწილების წესები. როგორც აღვნიშნეთ, სისტემატური წესით ნიმუშის აღება ფართოდ გამოიყენება კვადრატების განაწილების გასაადვილებლად შეხვედრის სიხშირის კვლევისას. ამ მიდგომის გამოყენებისას ფუძე მონაკვეთს გავავლებთ საკვლევი პოპულაციის გასწროვ - მისი ცენტრის გავლით ან კიდეზე. ტრანსექტებს გავავლებთ სისტემატური წესით ფუძე მონაკვეთის მართობულად და პირველი ტრანსექტის საწყის წერტილს ვადგენთ შემთხვევითი წესით (თუ ფუძე მონაკვეთი გადის პოპულაციის ცენტრზე,

ტრანსექტები გაივლის ფუძე მონაკვეთის ერთ ან მეორე მხარეს, რაც შეიძლება შემთხვევითი წესით განისაზღვროს მონეტის აგდებით). შემდეგ სანიმუშე ნაკვეთები (ამ შემთხვევაში კვადრატები) სისტემატურად განლაგდება თითოეული ტრანსექტის გასწვრივ. პირველი კვადრატის საწყისი წერტილი თითოეული ტრანსექტის გასწვრივ ასევე შემთხვევითი წესით დგინდება. შეხვედრის სიხშირის მრავალწლიანი მონიტორინგისათვის სანიმუშე კვადრატების აუცილებელი რაოდენობის მინიმიზაციისათვის საჭიროა პირველ წელს შემთხვევითი წესით შეჩეული სანიმუშე ნაკვეთების მუდმივ ნაკვეთებად გამოყენება.


სურ. 5 გვიჩვენებს 50მ x 100მ მაკრო-ნაკვეთს, რომლიდანაც ნიმუშს იღებენ 100 1მ2 შეხვედრის სიხშირის კვადრატებით; ფუძის მონაკვეთის სიგრძე 100მ-ია და იგი გავლებულია საკვლევი პოპულაციის სამხრეთ კიდეზე. ამ მაგალითში ტრანსექტებიცა და კვადრატებიც სისტემატურადაა განლაგებული რანდომული (შემთხვევითი) საწყისი წერტილით. ტრანსექტების შემთხვევაში შეირჩევა რანდომული რიცხვი 0-დან 9-მდე. სურ. 5-ზე ეს რიცხვი 1-ია და პირველი ტრანსექტი იწყება ფუძე მონაკვეთის 1მ ნიშნულთან, ხოლო მომდევნო ტრანსექტები 11მ, 21მ, ..., 91მ ნიშნულებთან. კვადრატების შემთხვევაში თითოეულ ტრანსექტზე შეირჩევა რანდომული რიცხვი 0-დან 4-მდე, ამ წერტილთან განთავსდება პირველი კვადრატი და მომდევნო კვადრატები - ყოველი 5მ-ის. ამიტომ პირველი ტრანსექტის გასწვრივ პირველი კვადრატი აღმოჩნდა 3მ ნიშნულთან და მომდევნო კვადრატები 8მ, 13მ, ..., 48მ ნიშნულებთან. ამგვარი დიზაინი უზრუნველყოფს სანიმუშო ნაკვეთების კარგ მონაცვლეობას საკვლევი პოპულაციის არეზე ანუ სანიმუშე ნაკვეთებით არის კარგ დაფარვას.

ზოგადად კვლევის დიზაინის შედგენისას საუკეთესო მიდგომაა ტრანსექტებს შორის მანძილი დაახლოებით ისეთივე იყოს, როგორც მანძილი სანიმუშე ნაკვეთებს შორის. ასეთი მიდგომის გამოყენებისას მონაცემთა დამოუკიდებლობის პრობლება მაღალი ალბათობით თავისთავად გადაწყდება.

სანიმუშე ნაკვეთები მუდმივ მაკრო-ნაკვეთებზე შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი. მოცემულ სახელმძღვანელოში სამიზნე მრვალწლოვან ბალახოვან მცენარეთა მონიტორინგისათვის რეკომენდებულია მუდმივი სანიმუშე ნაკვეთების გამოყენება. ყოველ წელს ერთიდაიმავე სანიმუშე ნაკვეთების აღსაწერად აუცილებელია საველე ფურცლების შესაბამის განყოფილებაში მივუთითოთ პირველი ტრანსექტის დაშორება მაკრო-ნაკვეთის ფუძის საწყისი წერტილიდან და თითოეული ტრანსექტის გასწვრივ პირველი სანიმუშე კვადრატის დაშორება მოცემული ტრანსექტის საწყისი წერტილიდან.



სურ. 5. სისტემატური ხერხით ნიმუშის აღების მაგალითი შეხვედრის სიხშირის აღრიცხვისას (Elzinga et al., 1998)



სურ. 6. მერქნიანთა ვარჯების დაფარულობის დადგენა ხაზის კვეთის მეთოდით (Elzinga et al., 1998)
განმარტებები: Transect - ტრანსექტი; distance - მანძილი; total transect length - ტრანსექტის სრული სიგრძე; distance of intercept - კვეთის მანძილი.
% დაფარულობა = მანძილი
 $(a+b+c+d+e+f) / \text{ტრანსექტის სრული სიგრძე}$

2.2.2. ხაზის კვეთის მეთოდით გავაკურობის დაგენის მეთოდის აღნერა

ამ მეთოდს მერქნიანთა პოპულაციების მონიტორინგისათვის გამოვიყენებთ.

ვარჯების პროექციული დაფარულობა იზომება ტრანსექტის გასწვრივ გაჭიმულ ლენტზე იმ წერტილების მონიშვნით, საიდანაც იწყება და სადაც მთავრდება ყოველი ვარჯი (სურ. 6). ყოველი ვარჯის საწყისი და საბოლოო კვეთის წერტილებს შორის მანძილების შეკრებითა და ტრანსექტის სრულ სიგრძესთან შეფარდებით მიიღება საკვლევი სახეობის ვარჯების ფარდობითი პროექციული დაფარულობა ტრანსექტის გასწვრივ. იმისათვის, რომ ვარჯის ლენტაზე პროექციული კვეთა ვარჯის საწყისი ან საბოლოო წერტილიდან დაშვებული (მაღალი მცენარის შემთხვევაში) ან აღმართული (დაბალი მცენარის შემთხვევაში) მართობის ლენტაზე შეხვედრის წერტილს შეესაბამებოდეს, უმჯობესია გამოყენებული იქნეს გრძელი ჭოხი ზედა ბოლოზე დაკიდებული ტვირთით, რომელიც თარაზოს ფუნქციას შეასრულებს.

ამ მეთოდის გამოყენებისას ცდომილების მიზეზი ქარიანი ამინდია, ამიტომ კვლევა შეძლებისდაგვარად უქარო ამინდში უნდა დაიგეგმოს.

სანიმუშე ერთეული ამ შემთხვევაში არა სანიმუშე ნაკვეთი, არამედ ტრანსექტია. სტატისტიკურად გამართული შედეგის მისაღებად ტრანსექტების ოპტიმალური რაოდენობა საპილოტო (პირველი) კვლევისას ქვემოთ აღნერილი მეთოდით უნდა განისაზღვროს (იხ. 2.2.3). ტრანსექტების ოპტიმალური რაოდენობა შეიძლება შეამციროს პირველი ტრანსექტის სიგრძის გაზრდამ, თუმცა გრძელი ტრანსექტის გასწვრივ მონაცემების აღება შეიძლება გაართულოს რელიეფურმა პირობებმა ან ხშირმა მცენარეულმა საფარმა.


2.2.3. სანიმუშე ერთეულების: ნაკვეთების ან განაკვეთების რაოდენობის დაგენერაციის კიბელი კვლევის შედეგების მიხედვით

შეხვედრის სიხშირის კვლევისას მაკრო-ნაკვეთ(ები)ის სიდიდის დადგენისა და მაკრო-ნაკვეთ(ები)ში ტრანსექტებსა და სანიმუშე ნაკვეთებს შორის მანძილების განსაზღვრის შემდეგ (ისე, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ტრანსექტებს შორის მანძილი დაახლოებით ისეთივე იყოს, როგორც სანიმუშე ნაკვეთებს შორის მანძილი) მნიშვნელოვანია პირველი (საპილოტო) კვლევის დროს

შეხვედრის სიხშირის აღრიცხვა ყველა სანიმუშე ნაკვეთზე, მაგ., სურ. 5-ზე განხილულ მაგალითში - 100-ვე სანიმუშე ნაკვეთზე.

თუ სანიმუშე ერთეული ტრანსექტია (როცა შეხვედრის სიხშირის კვლევისას სანიმუშე ნაკვეთებს შორის მანძილი ტრანსექტებს შორის მანძილზე მნიშვნელოვნად მცირეა და ყოველთვის ხაზის კვეთით დაფარულობის აღრიცხვისას), მაშინ სინჯის აუცილებელი სიდიდე დგინდება სინჯის თანმიმდევრული აღებითა და შემდეგ ელზინგასა და თანაავტორების ნაშრომის (Elzinga et al., 1998) დანართებში მოცემული შესაბამისი ფორმულებით (იხ. აღნიშნული პუბლიკაციის დანართი 7, მაგ., ფორმულა 3 კორელაციის მაღალი კოეფიციენტით: 0.8 ან 0.9 მოცემული კვლევის სამიზნე მცენარეთათვის), ხოლო თუ სანიმუშე ერთეული თვით სანიმუშე ნაკვეთია - ელზინგასა და თანაავტორების ნაშრომის დანართებში მოცემული შესაბამისი ფორმულებით (Elzinga et al., 1998; დანართი 7, ფორმულა 4, და დანართი 18).

სინჯის თანმიმდევრული აღება არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც დგინდება სინჯის მინი-მალური ზომა. ამისათვის უნდა შესრულდეს შემდეგი პროცედურა: თუ სანიმუშე ერთეულებს შორის მონაცემთა ვარიაციელობის ხარსიხი დაბალია, მაშინ 8-10 ერთეულის, ხოლო თუ მაღალია - არანაკლებ 15 ერთეულის შენავლის შემდეგ, უნდა შევჩერდეთ და გამოვიანგარიშოთ ნიმუშების ამ რაოდენობისათვის როგორია საკვლევი პარამეტრის საშუალო არითმეტიკული და სტანდარტული გადახრა. ყოველი ერთეულის დამატების შემდეგ ეს პროცედურა გავიმეოროთ და მიღებული მონაცემებით ავაგოთ გრაფიკები, რომელთა ნიმუშები მოცემულია სურ. 7-ზე (გრაფიკი ასახავს ინდივიდთა დათვლასთან დაკავშირებულ მიდგომას; ამ სახელმძღვანელოში განხილული მიდგომებისთვის ინდივიდთა რიცხვის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნას შეხვედრის სიხშირე ან დაფარულობა თითოეული ტრანსექტის გასწროვ).



სურ. 7. სინჯის საფეხურებრივად აღების შედეგების ამსახველი მრუდები (Elzinga et al., 1998). განმარტებები: X ღერძი - სინჯის ზომა; Y ღერძი - ინდივიდების რაოდენობა სანიმუშე ნაკვეთზე; plants - მცენარეები; mean - საშუალო არითმეტიკული და სტანდარტული გადახრა

ამ საფეხურებრივი გაანგარიშებით საბოლოოდ შევარჩევთ სანიმუშე ერთეულების იმ რაოდენობას, რომელზე ნაკლებიც არ უნდა გამოვიყენოთ შემდგომი კვლევისას (არ უნდა გამოვიყენოთ სინჯის ზომა იმ წერტილამდე, რომლამდეც საშუალო არითმეტიკული და სტანდარტული გადახრა სტაბილიზებული არ არის). საშუალო არითმეტიკულისა და სტანდარტული გადახრის მნიშვნელობები გამოყენებული უნდა იქნას სინჯის აუცილებელი ზომის გამოსათვლელი ფორმულისათვის. ფორმულები, როგორც ზემოთ ითქვა, მოცემულია ელჩინგასა და თანაავტორების ნაშრომის (Elzinga et al., 1998) დანართებში და რიგ შემთხვევებში რამდენიმესაფეხურიან გაანგარიშებას მოითხოვს.

პირველი წლის კვლევის შედეგების მიღების შემდეგ მომდევნო მონიტორინგისათვის სინჯის ოპტიმალური ზომის დადგენაში სასურველია შესაბამისი სპეციალისტის მონაწილეობა.

2.3. მონიტორინგის შედეგების ანალიზი

მრავალწლიანი მონიტორინგის შედეგები გვაძლევს საშუალებას გამოვააშვარავოთ საკვლევი მცენარის სამიზნე პოპულაციის ცვლილების მიმართულება და დავინახოთ პოპულაცია იკლებს, იმატებს თუ სტაბილურია. ეს აუცილებელია შემდგომ ამ სახეობის სამიზნე პოპულაციის შენარჩუნებისათვის საჭირო ღონისძიებების დროულად დასაგეგმად და განსახორციელებლად. ამავე დროს პოპულაციის რიცხოვნობის ცვლილების ტენდენციის ცოდნა თავიდან აგვარიდებს არსებული რესურსების არასწორ გამოყენებას იმ მცენარეთა კონსერვაციისათვის, რომელთა პოპულაციები ამჟამად სტაბილურია ან იმატებს; ეს მიღვომა რესურსებს კლებადი პოპულაციების მქონე სახეობებისათვის გამოათავისუფლებს. მართალია, მდგრადი ტენდენციების შესახებ საუბარი სულ მცირე 10-ჯერადი მონიტორინგის შედეგების ანალიზით არის შესაძლებელი, მაგრამ მონიტორინგის რამდენიმე რაუნდი უკვე მოგვცემს საშუალებას ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რომელ სახეობაზეა საჭირო ყურადღების განსაკუთრებულად გამახვილება.

ტენდენციებს თვალსაჩინოდ წარმოაჩენს გრაფიკები (იხ. დანართი 3), რომლებიც ელექტრონულ სისტემაში საველე მონაცემების შეტანისას ავტომატურად აიგება და საკვლევი პარამეტრების ცვლილებას გვიჩვენებს.

მიღებულ შედეგებს შორის განსხვავების სტატისტიკური მნიშვნლობის შესაფასებლად იმ შემთხვევაში, როცა სანიმუშე ერთეული ტრანსექტია (როგორც სანიმუშე ნაკვეთებით შეხვედრის სიხშირის, ისე ხაზის კვეთით ფარდობითი დაფარულობის დადგენისას), მაშინ გამოიყენება χ^2 -ტესტი ორი წლის მონაცემების შედარებისას და ANOVA ორზე მეტი წლის მონაცემების შედარებისას, ხოლო როცა სანიმუშე ერთეული სანიმუშე ნაკვეთია (შეხვედრის სიხშირის დადგენისას), მაშინ გამოიყენება χ^2 ტესტი როგორც ორი, ისე ორზე მეტი წლის მონაცემების შედარებისას. მრავალწლიანი მონაცემების შედარებისას მიღებული სტატისტიკურად სარწმუნო შედეგი გულისხმობს, რომ შედეგი სარწმუნოა შესადარებლად აღებული შუალედის რომელიმე ორი წლის მონაცემს შორის. იმის დასადგენად, თუ რომელი ორი წლის მონაცემებია სტატისტიკურად განსხვავებული, საჭიროა ტესტის გამეორება წყვილ-წყვილად აღებული მონაცემებისათვის.

წყარო:

Elzinga, C.L., Salzer, D.W. and Willoughby, J.W., 1998. Measuring & Monitoring Plant Populations. BLM Technical Reference 1730-1, 496p.

ღანაზო 1. სავერა ელექტრონული ფორმა

- 50 მ და 100 მ სიგრძის თოვები 1 მ შუალედებით დაცილებული ფერადი ნიშნულებით - შესაბამისად, მინიმუმ 2 ცალი და 1 ცალი
- მოკლეპალოებიმაკრო-ნაკვეთებისა და ტრანსექტების გადასაზომი თოვების დასამაგრებლად - 4 ცალი
- 1 მ x 1მ ჩარჩო - 1 ცალი
- 50 მ სიგრძის საზომი ლენტი - 1 ცალი
- პალო ძაფზე დაკიდებული ტვირთით - 1 ცალი
- GPS - 1 ცალი
- ფოტოკამერა - 1 ცალი

ღანაზო 2. საკიროზო სავერა სამუშაოს ეგავები

დეფარები განხარვებული სახელმძღვანელოს გექსიში

1. კვლევის დაწყებისას საველე დოკუმენტაციის თავფურცლის შევსება (იხ. დანართი 3).
2. GPS-ის მეშვეობით პოპულაციის შემოსაზღვრა (თუ იგი სასრულია) შემდგომი დარუკებისთვის.
3. კვლევის წინასწარი გეგმის შედგენისას განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე მაკრო-ნაკვეთის ფუძის საწყისი წერტილის მონიშვნა მედმივი პალოთი და ფუძის გასწვრივ 100 მ სიგრძის (სტანდარტულ შემთხვევაში) თოვის მოთავსება. ფუძის საწყისი წერტილის კოორდინატებისა და ამ წერტილიდან ფუძის კომპასით დადგენილი მიმართულების (და აზიმუტის) ჩანიშვნა საველე აღრიცხვის ფურცელზე.
4. შემთხვევითი წესით, მაგ., 0-დან 9-ის ჩათვლით რიცხვებიანი ფურცლების კენჭისყრა და ამ გზით შერჩეული მანძილის გადაზომვა ფუძის საწყისი წერტილიდან თოვის გასწვრივ. პირველი კვლევისას გამოყენებული მანძილის ჩანიშვნა საველე ფურცლის შესაბამის განყოფილებაში. მომდევნო კვლევებისას გამოყენებული იქნება იგივე მანძილები.
5. შერჩეული წერტილიდან ფუძის მართობულად 50 მ სიგრძის თოვების (ტრანსექტი) მოთავსება 10 მ სიგრძის ინტერვალებით (სტანდარტულ შემთხვევაში).
6. შეხვედრის სიხშირის დადგენისას შემთხვევითი წესით, მაგ., 0-დან 4-ის ჩათვლით რიცხვებიანი ფურცლების კენჭისყრა, ამ გზით შერჩეული მანძილის გადაზომვა თითოეული ტრანსექტის საწყისი წერტილიდან ტრანსექტის გასწვრივ და გადაზომილ მანძილზე ჩარჩოს (სანიმუშე ნაკვეთი) კიდის განთავსება; ყოველი მომდევნი სანიმუშე ნაკვეთი განთავსდება წინა ნაკვეთიდან 4 მ-ის დაშორებით. პირველი კვლევისას გამოყენებული მანძილების ჩანიშვნა საველე ფურცლის შესაბამის განყოფილებაში. მოდევნო კვლევებისას გამოყენებული იქნება იგივე მანძილები.
7. თითოეულ სანიმუშე ნაკვეთზე საკვლევი სახეობის/მისი სტადიური კლასის არსებობის შემთხვევაში, მისი აღრიცხვა (იხ. დანართი 3).
შენიშვნა. თუ მაკრო-ნაკვეთის სიღრმე სტანდარტულისაგან განსხვავებულია, მაშინ მანძილი ტრანსექტებს შორის და სანიმუშე ნაკვეთებს შორის მსგავსი უნდა იყოს.
8. ხაზის კვეთით დაფარულობის დადგენისას აღირიცხება 50 მ საზომი ლენტის (ტრანსექტის) ვარჯებით დაფარული მონაკვეთების საწყისი და საბოლოო წერტილების დაშორება (მ) ლენტის საწყისი წერტილიდან. აღინიშნება დაზიანებული მონაკვეთები და მომზადდება დაზიანების ფოტოდოკუმენტაცია.
9. საკვლევი პოპულაცია და საველე სამუშაო ასევე აისახება ფოტოდოკუმენტაციაში.

ღანაზო 3. საველი მონაცემთა ფურცელები

საველი აღიცხვის როკემენისა და თავვარები

თარიღი	
პოპულაცია (სახეობა)	
მდებარეობა	
კოორდინატები	
პოპულაციის ფართობი (ჰა)	
სივრცობრივი განაწილება (შემთხვევითი, თანაბარი, ჰგუფური)	
სიმაღლე (მ 8.დ.)	
ექსპოზიცია	
დახრილობა (°)	
ნიადაგის ტიპი	
გაბატონებული მცენარეულობა/ჰაბიტატის ტიპი	
დომინანტი სახეობა	
დაფარულობა (%)	
მოდიფიკაციის ხარისხი	
არსებული საფრთხეები	
პოტენციური საფრთხეები	
სიახლოვე სხვადასხვა ინფრასტრუქტურასთან (გზები, დასახლებები, მილსადენები, ყანები, ა.შ.)	
პოპულაციის მდგომარეობა	

საველი აღიცხვის როკემენისა და თავვარების შევსებაზე ნიმუში

თარიღი	10.05.2014
პოპულაცია (სახეობა)	Paeonia tenuifolia
მდებარეობა	ვასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. იგოეთსა და სოფ. ლამისყანას შორის
კოორდინატები	N41.99245 E44.42047
პოპულაციის ფართობი (ჰა)	19.5
სივრცობრივი განაწილება	შემთხვევითი/შესაბუფული (მცენარე გვხვდება საკვლევი არის უძნებებები, სადაც მცენარეული საფრის შეკრულობის ხარისხი შეაღედურია და მცენარე „შეფარებულია“ (მეტნილად) ძეგვის ბუჩქებს ქვეშ; ღია ან (მცენარ-რცხილენარის დერივატებით) შედარებით დაბურულ უბნებზე იგი ან არ გვხვდება ან ინდივიდების სიმრავლე მცირება, ხოლო განაწილება - შემთხვევითი). პოპულაცია პირობითად გავყავით სამ მეტ-ნაკლებად თანაბარ სექტორად: 1-სა (კვადრატები 1-10) და მე-2-ში (კვადრატები 11-20) განაწილება მეტნილად შემთხვევითა, ხოლო მე-3-ში (კვადრატები 21-30) - შესაბული.
სიმაღლე (მ 8.დ.)	650-730
ექსპოზიცია	აღმ. / ჩრდ.-აღმ.
დახრილობა (°)	20-30
ნიადაგის ტიპი	ყავისფერი, ხირხატიანი
გაბატონებული მცენარეულობა/ჰაბიტატის ტიპი	პოლიდომინანტური ბუჩქნარი მცენარ-რცხილენარის დერივატებითა და მარცვლოვან-ნაირბალახოვანი საფრით
დომინანტი სახეობა	ფერდობის ცალკეულ მონაკვეთზე სხვადასხვა ბუჩქის დომინირებაა (Paliurus spina-christi, Spiraea hypericifolia, Crataegus sp., Rosa sp.) და სხვ.
დაფარულობა (%)	60-70
მოდიფიკაციის ხარისხი	უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი
არსებული საფრთხეები	ძოვება, ბუჩქნარის გაჩეხვა, ყვავილების შეგროვება თაგულებისთვის
პოტენციური საფრთხეები	გზის გაფართოება

სიახლოვე სხვადასხვა ინფრასტრუქტურებთან (გზები, დასახლებები, მილსადებები, ყანები, ა.შ.)	პოპულაცია საავტომობილო გზის პირასაა და იკვეთება ბაქო-სუფსის ნავთობსადენით
პოპულაციის მდგომარეობა	რიცხოვნობის შემცირების ნიშნები ჰაბიტატის ანთროპოგენიზაციის მომატებული ხარისხის ფონზე

შეხვეძების სიხშირის სავარაუდო აღრიცხვის ვარაუდი

მონიტორინგის თარიღი:	სახეობა:									
ადგილმდებარეობის აღწერა:										
ფუძის საწყისი წერტილის გეოგრაფიული კოორდინატები/მიმართულება:	სიმაღლე ზ.დ.:									
ჰაბიტატი:										
პერსონალი:										
მაკრო ნაკვეთის #: მაკრო ნაკვეთი სიღიდე:	სანიმუშე ნაკვეთის სიღიდე:									
პირველი ტრანსექტის საწყისი წერტილის დაცილება მაკრო-ნაკვეთის ფუძის საწყისი წერტილიდან (ივსება მხოლოდ პირველი ტრანსექტისთვის):										
ტრანსექტი # 1-ლი კვადრატის დაცილება მაკრო-მონაკვეთის საწყისი წერტილიდან:										
კვადრატის #	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მოყვავილე ან ნაყოფმსხმოიარე მცენარეები (რეპროდუქციული ინდივიდები)										
მცენარეები საყვავილე კვირტებისა და ყვავილების გარეშე; არ იგულისხმება გადაყვავილებული მცენარეები (არა-რეპროდუქციული ინდივიდები)										
ნებისმიერი გრდასრული ინდივიდი (რეპროდუქციული და არა-რეპროდუქციული)										
ტრანსექტი # 1-ლი კვადრატის დაცილება მაკრო-მონაკვეთის საწყისი წერტილიდან:										
კვადრატის #	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
მოყვავილე ან ნაყოფმსხმოიარე მცენარეები (რეპროდუქციული ინდივიდები)										
მცენარეები საყვავილე კვირტებისა და ყვავილების გარეშე; არ იგულისხმება გადაყვავილებული მცენარეები (არა-რეპროდუქციული ინდივიდები)										
ნებისმიერი გრდასრული ინდივიდი (რეპროდუქციული და არა-რეპროდუქციული)										
ტრანსექტი # 1-ლი კვადრატის დაცილება მაკრო-მონაკვეთის საწყისი წერტილიდან:										
კვადრატის #	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
მოყვავილე ან ნაყოფმსხმოიარე მცენარეები (რეპროდუქციული ინდივიდები)										
მცენარეები საყვავილე კვირტებისა და ყვავილების გარეშე; არ იგულისხმება გადაყვავილებული მცენარეები (არა-რეპროდუქციული ინდივიდები)										
ნებისმიერი გრდასრული ინდივიდი (რეპროდუქციული და არა-რეპროდუქციული)										
შეხვედრის სიხშირე, %										
რეპროდუქციული ინდივიდები, %										
არა-რეპროდუქციული ინდივიდები, %										
რეპროდუქციული და არა-რეპროდუქციული ინდივიდები ერთად, %										

შენიშვნა: საველე პერსონალის საჭირო რაოდენობა ორია.


შეხვერის სისტემის აღმოჩევის შედეგის შესახები ნიმუში:

მონიტორინგის თარიღი: 17/07/2018	სახეობა: <i>Paeonia tenuifolia</i>																			
ადგილმდებარეობის აღწერა: ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები																				
ფუძის საწყისი წერტილის გეოგრაფიული კოორდინატები/მიმართულება: .../ჩრდ.აღმ. 35° სიმაღლე 8.დ.: 500 მ																				
ჰაბიტატი: სტეპი ჰემიქსეროფილური ბუჩქნარით																				
პერსონალი:																				
მაკრო ნაკვეთის #: მაკრო ნაკვეთი სიდიდე:	სანიმუშე ნაკვეთის სიდიდე: 1 მ x 1 მ 50 მ x 100 მ																			
პირველი ტრანსექტის საწყისი წერტილის დაცილება მაკრო-ნაკვეთის ფუძის საწყისი წერტილიდან (იგსება მხოლოდ პირველი ტრანსექტისთვის):																				
ტრანსექტი # 1 - 1-ლი კვადრატის დაცილება მაკრო-მონაკვეთის საწყისი წერტილიდან: 2 მ																				
კვადრატის #	1	2	3	4	5	6	7	8	9	10										
მოყვავილე ან ნაყოფმსხმოიარე მცენარეები (რეპროდუქციული ინდივიდები)	1	1	1				1		1	1										
მცენარეები საყვავილე კვირტებისა და ყვავილების გარეშე; არ იგულისხმება გადაყვავილებული მცენარეები (არა-რეპროდუქციული ინდივიდები)	1			1					1											
ნებისმიერი ზრდასრული ინდივიდი (რეპროდუქციული და არა-რეპროდუქციული)	1	1	1	1				1		1										
ტრანსექტი # 2 - 1-ლი კვადრატის დაცილება მაკრო-მონაკვეთის საწყისი წერტილიდან: 0 მ																				
კვადრატის #	11	12	13	14	15	16	17	18	19	20										
მოყვავილე ან ნაყოფმსხმოიარე მცენარეები (რეპროდუქციული ინდივიდები)	1				1															
მცენარეები საყვავილე კვირტებისა და ყვავილების გარეშე; არ იგულისხმება გადაყვავილებული მცენარეები (არა-რეპროდუქციული ინდივიდები)	1							1												
ნებისმიერი ზრდასრული ინდივიდი (რეპროდუქციული და არა-რეპროდუქციული)	1				1			1												
ტრანსექტი # 3 - 1-ლი კვადრატის დაცილება მაკრო-მონაკვეთის საწყისი წერტილიდან: 1 მ																				
კვადრატის #	21	22	23	24	25	26	27	28	29	30										
მოყვავილე ან ნაყოფმსხმოიარე მცენარეები (რეპროდუქციული ინდივიდები)	1			1		1														
მცენარეები საყვავილე კვირტებისა და ყვავილების გარეშე; არ იგულისხმება გადაყვავილებული მცენარეები (არა-რეპროდუქციული ინდივიდები)	1					1		1												
ნებისმიერი ზრდასრული ინდივიდი (რეპროდუქციული და არა-რეპროდუქციული)	1			1		1		1												
შეხვედრის სისმირე, %																				
რეპროდუქციული ინდივიდები, %										40.00										
არა-რეპროდუქციული ინდივიდები, %										26.67										
ინდივიდები ერთად, %										50.00										

შეხვერდის სისტემის მონიტორინგის შედეგების ანალიზის ნიმუში:

პოპულაციაში ინდივიდთა შეხვედრის სიხშირის დინამიკა				
	2018	2019	2020	
მონიტორინგის წელი:				
რეპროდუქციული ინდივიდები, %	40.00	26.67	20.00	
არა-რეპროდუქციული ინდივიდები, %	26.67	20.00	16.67	
ინდივიდები ერთად, %	50.00	40.00	33.33	

პოპულაციაში ინდივიდთა შეხვერდის სისტემის ძინამიკა



საზოგადი კვეთის სავარაუდო აღმიტების ფურცელი

მონიტორინგის თარიღი: დღე/თვე/წელი	სახეობა:
ადგილმდებარეობის აღწერა:	
ფუძის საწყისი წერტილის გეოგრაფიული კოორდინატები/მიმართულება:	
სიმაღლე მ.დ.:	
ჰაბიტატი:	
პერსონალი:	
პირველი ტრანსექტის საწყისი წერტილის დაცილება მაკრო-ნაკვეთის ფუძის საწყისი წერტილიდან (ივსება მხოლოდ პირველი ტრანსექტისთვის):	
ტრანსექტის #	მანძილი ტრანსექტის გასწრივ - სულ სიგრძე:
	დასაწყისი
	დასასრული
მანძილი	
დაზიანება	
ფოტოს #	
	დასაწყისი
	დასასრული
მანძილი	
დაზიანება	
ფოტოს #	
	დასაწყისი
	დასასრული
მანძილი	
დაზიანება	
ფოტოს #	
	დასაწყისი
	დასასრული
მანძილი	
დაზიანება	
ფოტოს #	
	დასაწყისი
	დასასრული
მანძილი	
დაზიანება	
ფოტოს #	
	დასაწყისი
	დასასრული
შენიშვნები (დაზიანების აღწერა და სავარაუდო მიზეზები):	

შენიშვნა: საველე პერსონალის საჭირო რაოდენობა სამია.


ხაზის კვეთის მეთოდით გავაჩერობის აღაიტევის უაჩვენის შევსეავი ნიმუში

მონიტორინგის თარიღი: 17/07/2018	სახეობა: Vaccinium arctostaphylos										
ადგილმდებარეობის აღწერა: ლაგოდეხის დაცული ტერიტორია ...											
ფუძის საწყისი წერტილის გეოგრაფიული კოორდინატები/მიმართულება: .../ჩრდ.დას.280° სიმაღლე 8.დ.:											
ჰაბიტატი: წიფლნარი											
პერსონალი:											
პირველი ტრანსექტის საწყისი წერტილის დაცულება მაკრო-ნაკვეთის ფუძის საწყისი წერტილიდან (ივსება მხოლოდ პირველი ტრანსექტისთვის):											
ტრანსექტის #	მანძილი ტრანსექტის გასწორივ -სულ სიგრძე: 50 მ										
ID01	დასაწყისი	2.10	5.70	15.20	23.10	28.90	35.10	40.70			
	დასასრული	4.50	6.00	18.80	25.70	32.10	37.20	41.30			
მანძილი		2.40	0.30	3.60	2.60	3.20	2.10	0.60	0.00	0.00	0.00
დაზიანება											0.00
ფოტოს #											
ID02	დასაწყისი	5.30	8.10	24.50	29.00	37.80	45.00				
	დასასრული	6.10	10.30	25.00	31.80	39.30	47.60				10.40
მანძილი		0.80	2.20	0.50	2.80	1.50	2.60	0.00	0.00	0.00	0.00
დაზიანება											
ფოტოს #											
ID03	დასაწყისი	15.50	36.70	40.80							
	დასასრული	18.30	38.30	43.10							
მანძილი		2.80	1.60	2.30	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	6.70
დაზიანება											0.00
ფოტოს #											
ID04	დასაწყისი										
	დასასრული										
მანძილი		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
დაზიანება											0.00
ფოტოს #											
ID05	დასაწყისი										
	დასასრული										
მანძილი		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
დაზიანება											0.00
ფოტოს #											
ID06	დასაწყისი										
	დასასრული										
მანძილი		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
დაზიანება											0.00
ფოტოს #											
ID07	დასაწყისი										
	დასასრული										
მანძილი		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
დაზიანება											0.00
ფოტოს #											
ჯამური მანძილი,მ:	31.90										
ტრანსექტების რაოდენობა:	3										
დაფარულობა,%	21.27										
დაზიანებული მონაკვეთების რაოდენობა:	0.00										

დავაგურობის მონიტორინგის შედეგების ანალიზის ნიმუში:

პოპულაციაში ინდივიდთა დაფარულობის დინამიკა			
მონიტორინგის წელი:	2018	2019	2020
დაფარულობა, %	21.27	22.80	23.40
დაზიანებული მონაკვეთების რაოდენობა:	0.00	0.00	0.00

პოპულაციის ინდივიდთა დავაგურობის გრაფიკი





თავი 3.

ჰიბრიდული კომუნიკაციების მონიტორინგი

3.1 შესავალი - ზურგულის ქსელი და ვაინის საეციალური დაცული გენოტოპის საკართველოში

ხშირად, კონკრეტული სახეობის ფრინველის დაცვა არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის მიერ გატარებულ ქმედებებზე დამოკიდებული და რამდენიმე ქვეყნის კოორდინირებულ ძალისხმევას მოითხოვს. სწორედ ამის გამო 1979 წელს ევროპის გაერთიანებამ მიიღო დირექტივა 79/409/ EEC, რომელიც ასევე ცნობილია ფრინველთა დირექტივის სახელით. ფრინველთა დირექტივის მიზანია ფრინველთა იმ სახეობების დაცვა, რომლებიც ევროპის გაერთიანების ტერიტორიაზე ბინადრობენ. დირექტივა განიხილავს ფრინველთა სახეობების შემცირების მრავალ სხვადასხვა მიზეზს და აყალიბებს ქმედებებს მათ შესარბილებლად. ფრინველთა კონსერვაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატების დაცვა. სწორედ ამ მიზნით, ფრინველთა დირექტივაში შევიდა ვალდებულება, შექმნას სპეციალური დაცული ტერიტორიები ფრინველთათვის (Special Protection Areas SPA). შექმნის შემდგომ მოხდა სპეციალური დაცული ტერიტორიების ინტეგრაცია ევროპის გაერთიანების სხვა დირექტივებისა და სქემების ქვეშ. ზურმუხტის ქსელის საიტების შექმნა ფრინველთათვის სპეციალური დაცული ტერიტორიების შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.

საქართველოსა და ევროპის გაერთიანებას შორის, 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, საქართველო ვალდებულია, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით განახორციელოს შემდეგი ორი დირექტივა:

1. დირექტივა 92/43/EEC მიღებული 21 მაისს 1992 წლის, ბუნებრივი ჰაბიტატების და ველური ფლორისა და ფაუნის კონსერვაცია
 2. დირექტივა 79/409/EEC მიღებული 2 აპრილს 1979 წლის, გარეულ ფრინველთა სახეობების კონსერვაცია
- ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველო ვალდებულებას იღებს, შექმნას ემერალდის ქსელი (network of Emerald) და ფრინველთათვის სპეციალური დაცული ტერიტორიები (SPA), ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 წლის თავზე.

3.2 ვაინის მონიტორინგი - მეთოდება

დაცული ტერიტორიების შექმნის მთავარი მიზანი არის ბიომრავალფეროვნების და ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვა. შესაბამისად, ყველანაირი სამენეჯმენტო აქტივობა უნდა ემსახურებოდეს ამ მთავარ მიზანს.

ფრინველთა პოპულაციების მდგომარეობა არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი სხვადასხვა ეკოსისტემაში მიმდინარე პროცესების. ფრინველებს გააჩნიათ მრავალფეროვანი შეფერილობა, ადვილად შესამჩნევი არიან, უმეტესობა მათგანი აქტიურია დღისით და ბევრი მათგანი აღნიშნავს თავის ტერიტორიას სახეობა სპეციფიური ვოკალური სიგნალების (გალობა, ტერიტორიული ვოკალიზაცია) მეშვეობით. ისინი იშენებენ ბუდეებს, დებენ კვერცხს და უვლიან ბარტყებს. ამ დროს ისინი რჩებიან კონკრეტულ ტერიტორიაზე და აქტიურად იცავენ მას. ამ მიზეზების გამო ფრინველების აღრიცხვა და მონიტორინგი, სხვა ტაქსონომიურ ჯგუფებთან შედრებით, არის ადვილი.

ფრინველთა პოპულაციებზე გრძელვადიანი დაკვირვება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის შეფასებისათვის. დაცულ ტერიტორიაზე სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ფრინველთა მონიტორინგის სისტემა მოგვცემს შემდეგ ინფორმაციას:

- კონკრეტული სამართავი სახეობის ფრინველის პოპულაციის მდგომარეობაზე;
- ჰაბიტატის მდგომარეობაზე და ხარისხზე;
- ეკოსისტემაში მიმდინარე პროცესებზე;

ფრინველთა მონიტორინგი გულისხმობს გრძელვადიან, სისტემატურ დაკვირვებას პოპულაციის აბსოლუტურ, ფარდობით სიმჭიდროვეზე ან რიცხოვნობაზე, ფრინველთა სივრცულ განაწილებაზე, პოპულაციური პარამეტრების ცვლილების ტენდენციაზე. სინაცვის და აღრიცხვის მეთოდის სწორი შერჩევა არის მნიშვნელოვანი, რათა მონიტორინგის განხორციელების შედეგად მიღებული ინფორმაცია იყოს გამოყენებადი.

ფრინველთა პოპულაციებს ისევე, როგორც ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის პოპულაციებს, ახასიათებთ ბუნებრივი ფლუქუაცია (ყოველწლიური რიცხოვნობის ცვლილება). ამ ცვლილებების მიზეზი შეიძლება იყოს პოპულაციაზე კლიმატის, ამინდის, მტაცებლების, დაავადებების, პარაზიტების და სხვა ბიოტური და აბიოტური ფაქტორის გავლენა. პოპულაციის ყოველწლიური ფლუქუაცია ართულებს პოპულაციის კლების ან მატების ტენდენციის დანახვას. გრძელვადიანი მონიტორინგის მიზანი სწორედ პოპულაციური ტალღების და ფლუქუაციის მიღმა პოპულაციის კლების, სტაბილურობის ან მატების ტენდენციის გამოვლენაა.

ტექსტის ძირითად ნაწილში დეტალურად განვიხილავთ კონკრეტულ ზურმუხტის ქსელის საიტებს და მათზე შერჩეულ ფრინველთა სახეობების აღრიცხვის და მონიტორინგის მეთოდებს. დანართების სახით წარმოდგენილია მთლიანობაში, მოცემულ ტერიტორიებზე გავრცელებული ფრინველთა სახეობები.

დაგრძელება

უნიკალური ნომერი: GE0000001

ფართობი: 23065.349 ha

ცენტრალური კოორდინატები:

Latitude: 41.892417° / Longitude: 46.305533°

დასაცავი ფრინველთა სახეობები: დაცვას საჭიროებს კავკასიური როჭო (*Lyrurus mlokosiewiczi*) და ბატკანძერი (*Gypaetus barbatus*). ეს ორი სახეობა ბუდობს და მთელი წლის განმავლობაში გვხვდება ლაგოდებში. ლაგოდებში არის კავკასიური როჭოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მობუდარი პოპულაცია (*Gavashelishvili and Javakhishvili 2010*) და ბატკანძერის 1-2 მობუდარი წყვილი. ორივე სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია როგორც მოწყვლადი (VU). კავკასიური როჭო აგრეთვე შეტანილია IUCN-ის წითელ ნუსხაში როგორც საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT) სახეობა.

ტერიტორიის აღწერა: ლაგოდები საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ზღვის დონიდან 500 - 3000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. აქ გვხვდება ფოთლოვანი ტყეები, რომლებიც

წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: წიფელი (*Fagus orientalis*), რცხილა (*Carpinus caucasica*), წაბლი (*Castanea sativa*), ქართული მუხა (*Quercus iberica*), ცაცხვი (*Tilia begoniifolia*), კავკასიური მუხა (*Quercus macranthera*). ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მდებარეობს ტყის ზედა საზღვარი, სადაც ძირითადად გვხვდება არყი (*Betula litwinowii*) და ცირცელი (*Sorbus caucasigena*). 2000 მეტრის ზემოთ გვხვდება დეკა (*Rhododendron caucasicum*) და ღვია (*Juniperus hemisphaerica*). ალპურ და სუბალპურ მდელოებზე გავრცელებული ძირითადი ბალახოვანი მცენარეებია: კენკეშა (*Campanula lactiflora*), ტილჭირი (*Aconitum nasutum*), მარმუჭი (*Alchemilla caucasica*), ძიგვი (*Nardus stricta*), ლერწამქუჩი (*Festuca varia*) და სოსნოვსკის ღიყი (*Heracleum sosnowskyi*) (Kvachakidze 2010).

მონიტორინგი

კავკასიური როჭო

მეთოდი: მოტიხტიხე მამლების აღრიცხვა

პერიოდი: მაისი

პერიოდულობა: ყოველ წელს

საჭირო აღჭურვილობა: ტელესკოპი 20X60 გადიდებით შტატივთან ერთად; ბინოკლი 8X ან 10X გადიდებით;

მეთოდის აღწერა: მოტიხტიხე მამრებს ყოველწლიურად მაისის თვეში აღრიცხავთ. სატიხტიხო ადგილს აღმოაჩენთ, GPS კოორდინატებს ჩაინიშნავთ და მოტიხტიხე მამლების რაოდენობას დათვლით. ამ მონაცემებთან ერთად თარიღსა და კლიმატურ პირობებსაც ინიშნავთ. სატიხტიხო ადგილებს მიანიჭებთ უნიკალური სახელწოდებას და დაარუკებთ. ინფორმაციას მონაცემთა ბაზაში შეიტანთ.

ბატვანძერი

მეთოდი: ბუდეების აღრიცხვა და ბუდობის წარმატების შეფასება

პერიოდი: აპრილი - ივნისი

პერიოდულობა: ყოველ წელს

საჭირო აღჭურვილობა: ტელესკოპი 20X60 გადიდებით შტატივთან ერთად; ბინოკლი 8X ან 10X გადიდებით;

მეთოდის აღწერა: პირველ საველე გასვლას ყოველი წლის აპრილში გეგმავთ. ექსპედიციის დროს ბუდეებს აღმოაჩენთ და ბარტყების რაოდენობას დაითვლით. აღრიცხვის თარიღს, ბუდეების GPS კოორდინატებსა და ბარტყების რაოდენობას ჩაინიშნავთ. მეორე ექსპედიციას ივნისში, ბუდობის წარმატების შესაფასებლად განახორციელებთ. ბარტყებს ხელმეორედ დაითვლით და იმავე ბუდეებზე პირველი ექსპედიციის დროს აღრიცხული ბარტყების რაოდენობას შეადარებთ.

კოდალები (თეთრზურგა კოდალა (*Dendrocopos leucotus*), საშუალო ჭრელი კოდალა (*Dendrocopos medius*), შავი კოდალა (*Dryocopus martius*))

მეთოდი: ბუდეების დარუკება შემთხვევით შერჩეულ 1 კმ კვადრატებში


პერიოდი: აპრილი - მაისი

პერიოდულობა: ყოველ წელს

საჭირო აღჭურვილობა: ფრინველის ხმის ჩანაწერის დასაკრავი მოწყობილობა (სმარტფონი, პლანშეტი, დინამიკი) ტელესკოპი 20X60 გადიდებით შტატივთან ერთად; ბინოკლი 8X ან 10X გადიდებით; GPS

მეთოდის აღწერა: მთელი საკვლევი ტერიტორია დაიყოფა 1 კმ - იან კვადრატებად. თვითონეულ კვადრატს ენიჭება უნიკალური ნომერი. ყოველზღვიურად აპრილ - მაისის თვეში აკეთებთ საველე გასვლებს შემთხვევით შერჩეული კვადრატების 20%-ში. კოდალის ბუდეები განლაგებულია საშუალო და მსხვილი დიამეტრის ხეში მოთავსებულ ფულუროებში და ხვრელებში, რომელსაც თავად კოდალა აკეთებს. შერჩეულ ტერიტორიაზე გადაადგილდებით ფეხით ან ცხენით და ათვარიელებთ ხეებს, სადაც შეიძლება იყოს კოდალის ბუდე. ბუდის აღმოჩენის შემდეგ, ჩაინიშნავთ GPS კოორდინატებს, დაკავებულია თუ არა ბუდე და დაადგენთ კოდალას სახე-ობას. ამ მონაცემებთან ერთად თარიღისა და კლიმატურ პირობებსაც ინიშნავთ. ბუდეებს მიანიჭებთ უნიკალურ სახელწოდებას და დაარუკებთ. ინფორმაციას შეიტანთ მონაცემთა ბაზაში. აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ საკვლევ კვადრატში აღმოვაჩინეთ ყველა ბუდე.

აუკა 1. ღაგორების ზურგუშის ქსერის საიტის საიგზე კოდერების აღმოცხვის კვაძაგები



ღანართი 1.

სხეკლი 1. ღაგოდების ზურავების ქსელის საიტის გავაცელებული ვარიაციები

ლათინური სახელი	ინგლისური სახელი	ქართული სახელი	ტერიტორიაზე ყოფნის სტატუსი	კატეგორია IUCN-ის ნუსხის მიხედვით	კატეგორია საქ. წით. ნუსხის მიხედვით
<i>Milvus migrans</i>	Black Kite	ძერა	YR-R, M	LC	
<i>Circaetus gallicus</i>	Short-toed Snake-Eagle	გველიჭამია (ან ძერაბორტი)	BB, M	LC	
<i>Accipiter brevipes</i>	Levent Sparrowhawk	ქორცქვიტა (ან შავთვალა მიმინო, ლევანმიმინო)	BB, M	LC	VU
<i>Accipiter nisus</i>	Eurasian Sparrowhawk	მიმინო	YR-R, M	LC	
<i>Accipiter gentilis</i>	Northern Goshawk	ქორი	YR-R, M	LC	
<i>Buteo buteo</i>	Common Buzzard	ჩვეულებრივი კაკაჩა	YR-R, M	LC	
<i>Buteo lagopus</i>	Rough-legged Buzzard	ფეხბანჯვლიანი კაკაჩა	WV,M	LC	
<i>Buteo rufinus</i>	Long-legged Buzzard	ველის (ან გრძელფეხა) კაკაჩა	YR-R, M	LC	VU
<i>Pernis apivorus</i>	European Honey-Buzzard	კრაზანაჭამია (ან ირაო)	BB, M	LC	
<i>Hieraetus pennatus</i>	Booted Eagle	ჩია არწივი	BB, M	LC	
<i>Aquila heliaca</i>	Imperial Eagle	ბექობის (ან თეთრმხრება) არწივი	YR-R, M	VU	VU
<i>Clanga clanga</i>	Greater Spotted Eagle	დიდი მყივანი არწივი	WV, M	VU	VU
<i>Clanga pomarina</i>	Lesser Spotted Eagle	მცირე მყივანი არწივი	BB, M	LC	
<i>Aquila nipalensis</i>	Steppe Eagle	ველის არწივი	M	EN	
<i>Aquila chrysaetos</i>	Golden Eagle	მთის არწივი	YR-R	LC	VU
<i>Neophron percnopterus</i>	Egyptian Vulture	ფასკუნჯი	BB, M	EN	VU
<i>Gypaetus barbatus</i>	Bearded Vulture (Lammergeier)	ბატკანძერი (ან წვერიანი სვავი, ყაჟირი, კრავიჭამია)	YR-R	NT	VU
<i>Aegypius monachus</i>	Cinereous Vulture (Eurasian Black Vulture)	სვავი	YR-R	NT	EN
<i>Gyps fulvus</i>	Eurasian Griffon Vulture	ორბი	YR-R	LC	VU
<i>Circus aeruginosus</i>	Western Marsh Harrier	ჭაობის ძელქორი (ან ჭაობის ბოლობეჭედა)	YR-R, M	LC	
<i>Circus cyaneus</i>	Hen (or Northern) Harrier	მინდვრის ძელქორი (ან მინდვრის ბოლობეჭედა)	WV, M	LC	
<i>Circus macrourus</i>	Pallid Harrier	ველის ძელქორი (ან ველის ბოლობეჭედა)	M	NT	
<i>Circus pygargus</i>	Montagu's Harrier	მდელოს ძელქორი (ან მდელოს ბოლობეჭედა)	BB, M	LC	
<i>Falco cherrug</i>	Saker Falcon	ბარი (ან გავაზი)	YR-R, M	EN	CR
<i>Falco peregrinus</i>	Peregrine Falcon	ჩვეულებრივი ბაკარდენი	YR-R, M	LC	
<i>Falco subbuteo</i>	Eurasian Hobby	მარჯანი	YR-R, M	LC	

<i>Falco columbarius</i>	Merlin	ალალი	WV, M	LC	
<i>Falco vespertinus</i>	Red-footed Falcon	წითელფეხა შავარდენი	BB, M	NT	EN
<i>Falco naumanni</i>	Lesser Kestrel	მცირე (ან ველის) კირკიტა	BB, M	LC	CR
<i>Falco tinnunculus</i>	Common Kestrel	ჩვეულებრივი კირკიტა	YR-R, M	LC	
<i>Lyrurus mlokosiewiczi</i>	Caucasian Grouse	კავკასიური როჭო	YR-R	NT	VU
<i>Tetraogallus caucasicus</i>	Caucasian Snowcock	კავკასიური შურთხი	YR-R	LC	
<i>Coturnix coturnix</i>	Common Quail	მწყერი	YR-R, M	LC	
<i>Crex crex</i>	Corn crake	ღალაღა	BB, M	LC	
<i>Columba livia</i>	Rock Dove	გარეული მტრედი	YR-R	LC	
<i>Columba oenas</i>	Stock Dove	გულიო (ან გვიძინი)	YR-R	LC	
<i>Columba palumbus</i>	Common Wood-Pigeon	ქედანი	YR-R	LC	
<i>Cuculus canorus</i>	Common Cuckoo	გუგული	BB, M	LC	
<i>Bubo bubo</i>	Eurasian Eagle Owl	გარნაშო	YR-R	LC	
<i>Asio otus</i>	Northern Long-eared Owl	ყურებიანი ბუ (ან ოლოლი)	YR-R	LC	
<i>Asio flammeus</i>	Short-eared Owl	ჭაობის ბუ	YR-R	LC	
<i>Otus scops</i>	Eurasian Scops-Owl	წყრომი	BB, M	LC	
<i>Athene noctua</i>	Little Owl	ჭოტი	YR-R	LC	
<i>Strix aluco</i>	Tawny Owl	ტყის ბუ	YR-R	LC	
<i>Caprimulgus europaeus</i>	European Nightjar	უფეხურა	BB, M	LC	
<i>Apus apus</i>	Common Swift	ნამგალა	BB, M	LC	
<i>Tachymarptis melba</i>	Alpine Swift	მევირია (ან თეთრმუცელა ნამგალა)	BB, M	LC	
<i>Merops apiaster</i>	European Bee-eater	ოქროსფერი კვირიონი	BB, M	LC	
<i>Coracias garrulus</i>	European Roller	ყაპყაპი	BB, M	LC	
<i>Upupa epops</i>	Common Hoopoe	ოფოფი	BB, M	LC	
<i>Dryocopus martius</i>	Black Woodpecker	შავი კოდალა	YR-R	LC	
<i>Picus viridis</i>	Eurasian Green Woodpecker	მწვანე კოდალა	YR-R	LC	
<i>Dendrocopos syriacus</i>	Syrian Woodpecker	სირიული კოდალა	YR-R	LC	
<i>Dendrocopos major</i>	Greater Spotted Woodpecker	დიდი ჭრელი კოდალა	YR-R	LC	
<i>Leiopicus medius</i>	Middle Spotted Woodpecker	საშუალო ჭრელი კოდალა	YR-R	LC	
<i>Dendrocopos leucotos</i>	White-backed Woodpecker	თეთრზურგა კოდალა	YR-R	LC	
<i>Dryobates minor</i>	Lesser Spotted Woodpecker	მცირე ჭრელი კოდალა	YR-R	LC	
<i>Jynx torquilla</i>	Eurasian Wryneck	მაქცია	BB, M	LC	
<i>Eremophila alpestris</i>	Horned (or Shore) Lark	რქოსანი ტოროლა	YR-R, M	LC	
<i>Lullula arborea</i>	Wood Lark	ტყის ტოროლა	BB, M	LC	
<i>Hirundo daurica</i>	Red-Rumped Swallow	წელნითელა მერცხალი	Cas	LC	

<i>Hirundo rupestris</i>	Eurasian Crag-martin	კლდის მერცხალი	BB, M	LC	
<i>Delichon urbicum</i>	Northern House-Martin	ქალაქის მერცხალი	BB, M	LC	
<i>Anthus trivialis</i>	Tree Pipit	ტყის მწყერჩიტა	BB, M	LC	
<i>Anthus pratensis</i>	Meadow Pipit	მდელოს მწყერჩიტა	BB, M	NT	
<i>Anthus cervinus</i>	Red-Throated Pipit	წითელგვალა მწყერჩიტა	M	LC	
<i>Anthus spinoletta</i>	Water Pipit	მთის მწყერჩიტა	BB, M	LC	
<i>Motacilla alba</i>	White Wagtail	თეთრი ბოლოქანქარა	YR-R, M	LC	
<i>Motacilla cinerea</i>	Grey Wagtail	რუხი ბოლოქანქარა	YR-R, M	LC	
<i>Motacilla flava</i>	Yellow Wagtail	ყვითელი ბოლოქანქარა	BB, M	LC	
<i>Motacilla citreola</i>	Citrine Wagtail	ყვითელთავა ბოლოქანქარა	BB, M	LC	
<i>Lanius minor</i>	Lesser Grey Shrike	შავშუბლა ღავო	BB, M	LC	
<i>Lanius collurio</i>	Red-backed Shrike	ჩვეულებრივი ღავო	BB, M	LC	
<i>Prunella modularis</i>	Hedge Accentor (Dunnock)	ტყის ჭვინტავა	YR-R, M	LC	
<i>Prunella collaris</i>	Alpine Accentor	ალპური ჭვინტავა	YR-R	LC	
<i>Sylvia communis</i>	Common Whitethroat	დიდი თეთრყელა ასუჭავა	BB, M	LC	
<i>Sylvia curruca</i>	Lesser Whitethroat	მცირე თეთრყელა ასუჭავა	BB, M	LC	
<i>Sylvia atricapilla</i>	Blackcap	შავთავა ასპუჭავა	BB, M	LC	
<i>Phylloscopus trochilus</i>	Willow Warbler	გაბაფხულა ჭივჭავი (გაბაფხულა ყარანა)	BB, M	LC	
<i>Phylloscopus collybita</i>	Common Chiffchaff	ჩვეულებრივი ჭივჭავი (ჩვეულებრივი ყარანა)	BB, M	LC	
<i>Phylloscopus sindianus</i>	Mountain Chiffchaff	მთის ჭივჭავი (მთის ყარანა)	BB, M	LC	
<i>Phylloscopus trochiloides</i>	Greenish Warbler	მომწვანო ჭივჭავი (მომწვანო ყარანა)	BB, M	LC	
<i>Muscicapa striata</i>	Spotted Flycatcher	რუხი ბუზიჭერია (რუხი მემატლია)	BB, M	LC	
<i>Ficedula semitorquata</i>	Semi-Collared Flycatcher	ნახევართეთრყელა ბუზიჭერია (ნახევართეთრყელა მემატლია)	BB, M	LC	
<i>Saxicola torquatus</i>	Common Stonechat	შავთავა ოვსადი	BB, M	LC	
<i>Saxicola rubetra</i>	Whinchat	თეთრბარბა (ანუ მდელოს) ოვსადი	BB, M	LC	
<i>Oenanthe oenanthe</i>	Northern Wheatear	ჩვეულებრივი მეღორღია	BB, M	LC	
<i>Phoenicurus ochruros</i>	Black Redstart	შავი ბოლოცეცხლა	YR-R, M	LC	
<i>Phoenicurus phoenicurus</i>	Common Redstart	ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა	BB, M	LC	
<i>Erythacus rubecula</i>	European Robin	გულწითელა	YR-R	LC	
<i>Luscinia megarhynchos</i>	Common Nightingale	ჩვეულებრივი ბულბული	BB, M	LC	
<i>Turdus merula</i>	Eurasian Blackbird	შაშვი	YR-R	LC	
<i>Turdus torquatus</i>	Ring Ouzel	თეთრგველა შაშვი	YR-R	LC	
<i>Turdus pilaris</i>	Fieldfare	რუხთავა შაშვი	WV,M	LC	

<i>Turdus iliacus</i>	Redwing	თეთრწარბა (ანუ ფრთაელალი) შაშვი	WV, M	NT	
<i>Turdus philomelos</i>	Song Thrush	წრიპა შაშვი (მგალობელი შაშვი)	YR-R, M	LC	
<i>Turdus viscivorus</i>	Mistle Thrush	ჩხართვი	YR-R, M	LC	
<i>Aegithalos caudatus</i>	Long-tailed Tit	თოხიტარა	YR-R, M	LC	
<i>Parus ater</i>	Coal Tit	მცირე წივწივა (მცირე წიწვანა)	YR-R	LC	
<i>Parus major</i>	Great Tit	დიდი წივწივა (დიდი წიწვანა)	YR-R	LC	
<i>Parus caeruleus</i>	Blue Tit	მოლურჭო წივწივა (მოლურჭო წიწვანა)	YR-R	LC	
<i>Sitta europaea</i>	Wood Nuthatch	ჩვეულებრივი ხეცოცია	YR-R	LC	
<i>Tichodroma muraria</i>	Wall-creeper	ფრთაწითელი კლდეცოცია	YR-R	LC	
<i>Certhia familiaris</i>	Eurasian Tree-creeper	ჩვეულებრივი მგლინავა	YR-R	LC	
<i>Troglodytes troglodytes</i>	Winter Wren	ჭინჭრაქა (ღობემძვრალა)	YR-R	LC	
<i>Cinclus cinclus</i>	White-throated Dipper	წყლის შაშვი	YR-R	LC	
<i>Emberiza cia</i>	Rock Bunting	კლდილოეთის სკვინჩა	WV	LC	
<i>Fringilla montifringilla</i>	Brambling	ჩრდილოეთის სკვინჩა			
<i>Fringilla coelebs</i>	Eurasian Chaffinch	სკვინჩა (ნიბლია)	YR-R, M	LC	
<i>Carduelis carduelis</i>	European Goldfinch	ჩიტბატონა	YR-R, M	LC	
<i>Carduelis spinus</i>	Eurasian Siskin	შავთავა მწვანელა	YR-R, M	LC	
<i>Carduelis chloris</i>	European Greenfinch	მწვანელა	YR-R, M	LC	
<i>Carduelis flavirostris</i>	Twite	მთის ჭვინტა	YR-R	LC	
<i>Carduelis cannabina</i>	Eurasian Linnet	ჭვინტა (მეკანაფია)	YR-R, M	LC	
<i>Pyrrhula pyrrhula</i>	Eurasian Bullfinch	სტვენია	YR-R	LC	
<i>Coccothraustes Coccothraustes</i>	Hawfinch	კულუმბური	YR-R, M	LC	
<i>Serinus pusillus</i>	Fire-fronted Serin (Red-fronted Serin)	წითელშუბლა მთიულა	YR-R	LC	
<i>Carpodacus erythrinus</i>	Common Rosefinch	ჩვეულებრივი კოჭობა	BB, M	LC	
<i>Passer domesticus</i>	Hause Sparrow	სახლის ბეღურა	YR-R	LC	
<i>Sturnus vulgaris</i>	Common Starling	შოშია (შროშანი)	YR-R, M	LC	
<i>Oriolus oriolus</i>	Eurasian Golden Oriole	მოლადური	BB, M	LC	
<i>Garrulus glandarius</i>	Eurasian Jay	ჩხივვი	YR-R	LC	
<i>Pica pica</i>	Black-billed Magpie	კაჭვაჭი	YR-R	LC	
<i>Pyrrhocorax pyrrhocorax</i>	Red-billed Chough	წითელნისკარტა მაღრანი	YR-R	LC	
<i>Pyrrhocorax graculus</i>	Yellow-billed Chough	ყვითელნისკარტა მაღრანი	YR-R	LC	
<i>Corvus corax</i>	Common Raven	ყორანი	YR-R	LC	
<i>Corvus frugilegus</i>	Rook	ჭილყვავი	YR-R, M	LC	
<i>Corvus corone</i>	Hooded Crow	რუხი ყვავი	YR-R	LC	

ფრინველთა ტერიტორიაზე ყოფნის სტატუსის განმარტება:

YR-R = მობინადრე. ტერიტორიაზე ბუდობს და იმყოფება მთელი წლის განმავლობაში.

YR-V = ვიზიტორი მთელი წლით. ტერიტორიაზე არ ბუდობს, თუმცა შეიძლება შეგვხდეს მთელი წლის განმავლობაში.

BB = მობუდარი. ტერიტორიაზე ბუდობს, თუმცა ბუდობის შემდეგ ტერიტორიას ტოვებს.

SV = ვიზიტორი ზაფხულობით. ტერიტორიაზე არ ბუდობს, თუმცა შეიძლება შეგვხდეს ზაფხულის განმავლობაში.

WV = მობამთრე. ტერიტორიაზე გვხვდება გვიანი შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე.

M = მიგრანტი. სახეობა, რომელიც გვხვდება საშემოდგომო ან საგაზაფხულო მიგრაციების დროს.

ფრინველთა კონსერვაციული სტატუსი IUCN-ის და საქართველოს წითელი წესის მიხედვით:

CR = უკადურესი საფრთხის წინაშე შეიფი

EN = საფრთხის წინაშე შეიფი

VU = მოწყვლადი

NT = საფრთხესთან მიახლოებული

LC = საფრთხეში არ შეიფი

ვაშლოვანი

